# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 28 თებერვალი 2002 №33 (1555) | ფასი 50 თეთრი


## რეალს ლიგისთვის არ სცალია, სამეფო სუფრა აქვს გასაშლელი


არსენალი — ლევერკუზენი. სილვენ ვილტორდი და დიეგო პლასენტე

შარშანდლისა არ იყოს, მადრიდის „რეალმა" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალი ორი ტურით ადრე გაინაღდა. გუშინ პორტუს ნასტუმრებმა, ფაქტობრივად, სათადარიგო „სამეფო კლუბმა" საქმე 20 წუთში მოითავა. რატომ ვერ ინავარდა ლუიშ ფიგუმ მშობლიურ მიწაზე, გეხსომებათ: ერთი კვირის წინ, „პორტუსთან" მადრიდულ მატჩში თვისტომებმა კოჭში უთავაზეს. ზიდანი, რაული, რობერტო კარლოსი, იკერ კასილიასი და მიჩელ სალგადო კი ვისენტე დელ ბოსკემ საქვესმარტოდ დაასვენა. კვირის თავზე ესპანეთის თასის ფინალში „რეალი" „სანტიაგო ბერნაბეუზე" „დეპორტივოს" უმასპინძლებს. ამ მატჩისადმი ინტერესს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც ზრდის: 6 მარტს „სამეფო კლუბი" 100 წლისა მოიყრება.

საამატჩოდ, ცხადია, „დეპორტივოც" გაფაციცებით ემზადება, თუმც გუშინ ხავიერ ირურეტამ, დელ ბოსკესგან განსხვავებით, ტურინის „იუვენტუსს" ლა კორუნიაში საუკეთესონი დაახვედრა ამ ბოლო დროს მასთან მწყრალად მყოფ ჯალმინიას თამადობით. არც შემცდარა, ჯერ იყო და, ბუფონის კარის ბადე მე-8 წუთზე დიეგო ტრისტანმა შეარხია, მეორე ტაიმში კი შეცვლაზე შესულმა ჯალმინიამ ივარგა.

ლონდონში კი, „ჰაიბერიზე", არსენალელებმა კლაუს ტოპმიოლერის გაყოყოჩებულ [illegible] გაუშვეს.

იხილეთ მეორე გვერდი

## საქართველოს გაუმარ-ჯოს! სიძე-პატარძალს გაუმარ-ჯოს!

გუშინ ბორჯღალოსანმა გია ლაბაძემ იქორწინა. სუფრიდან ერთ საათში წამოშლილმა, ღვინოზე ტუჩდაუკარებელმა სიძემ და მისმა ბორჯღალოსანმა მაყრებმა ვარჯიშზე გაუჩქარეს. სხვანაირად არ შეიძლება: მწვრთნელი ფრანგია, საქმე დიდი

## რუსი მოდის!




ხელისმომკიდეებმა ილია ზედგინიძემ, ბესიკ ხამამურიძემ და სიძემ ქორწილიდან სავარჯიშოდ ვარკეთილის სტადიონს მიაშურეს

ეროვნული ბიბლიოთეკა





არსენალი — ლევერკუზენი. ტიერი ანრიმ (შუაში) ბურთი ფეხით დაიჭირა



დეპორტივო — იუვენტუსი. ედგარ დავიდსს მსაჯთან კამათი გაძევებად დაუჯდა



დეპორტივო — იუვენტუსი. დიეგო ტრისტანმა ტურინელთა დაცვა დააწიოკა



პანათინაიკოსი — სპარტა. მასპინძელი სოტირის კირიაკოსი (მარჯვნივ) და ტომაშ ჩიჟეკი

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური

### C ჯგუფი

**პორტუ 1:2 რეალი**

0:1 სოლარი (6), 0:2 ელგერა (19), 1:2 ნუნო კაპუჩო (26)

პორტუ: ვიტორ ბაია, სეკრეტარიუ, რიკარდუ (ალენიჩევი 67), ჟორჟე ანდრადე, მარიუ სილვა, პარედესი, კანდიდუ კოშტა (კლეიტონი 55), პაულინი, დეკუ სოუზა, პოსტიგა (პენა 66), ნუნო კაპუჩო

მწვრთნელი: ჟოზე მოურინიუ

რეალი: სესარი, მინამბრესი, კარანკა (სელადესი 46), იერო, პავონი, ბრავო (სალგადო 75), კონსეისაო, ელგერა, მაკმანამანი (მორიენტესი 63), გუტი, სოლარი

მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე

გაფრთხილება: პავონი, პაულინი, პარედესი, მუნიტისი, მარიუ სილვა

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

37 000 მაყურებელი

**პანათინაიკოსი 2:1 სპარტა**

1:0, 2:0 კონსტანტინუ (15, 47), 2:1 კლეინი (89)

პანათინაიკოსი: ნიკოპოლიდისი, ჰენრიქსენი, გუმასი, მიკაელსენი (გალეტი 62), სარიჩი, კირიაკოსი, ბიესი (ოლისე 76), კონსტანტინუ (კოლკა 82), ბასინასი, ლიბეროპულოსი, კარაგუნისი

მწვრთნელი: სერჯიო მარქარიანი

სპარტა: ჩეხი, ფლახბარტი, ზელენკა, ირჟი ნოვოტნი, კინცლი, მიხალიკი, სიონკო, იაროშიკი, ტ. ჩიჟეკი, მინარი, ზაბადილი (კლეინი 38)

მწვრთნელი: იაროსლავ ჰრებიკი

გაფრთხილება: ბასინასი, მინარი, მიკაელსენი, კონსტანტინუ

მსაჯი: რასტისლავ მიხალიკი (სლოვაკეთი)

17 500 მაყურებელი

### D ჯგუფი

**დეპორტივო 2:0 იუვენტუსი**

1:0 ტრისტანი (8), 2:0 ჯალმინია (77)

დეპორტივო: მოლინა, სკალონი, ნაიბეტი, სეზარი (კაპდევილა 85), რომერო, მაურო სილვა, ვალერონი (ჯალმინია 70), სერხიო, ვიქტორი (დუშერი 60), ფრანი, ტრისტანი

მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა

იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი, ფერარა, მონტერო (დავიდსი 46), იულიანო, პესოტო, ტაკინარდი (ზალაიეტა 68), ნედვედი, მარესკა (კონტე 46), დელ პიერო, ტრეზეგე

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

გაფრთხილება: იულიანო, დავიდსი, დავიდსი, ფერარა

გაძევება: დავიდსი (74)

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

33 000 მაყურებელი

**არსენალი 4:1 ლევერკუზენი**

1:0 პირესი (6), 2:0 ანრი (7), 3:0 ვიეირა (48), 4:0 ბერგკამპი (83), 4:1 სებესკენი (86)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, სტეპანოვსი, კემპბელი, ლორენი (ინამოტო 84), პირესი, ვიეირა, ჯრიმანდი (ედუ 67), ბერგკამპი, ანრი, ვილტორდი (პენანტი 90)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

ლევერკუზენი: ბუტი, ჟივკოვიჩი (სებესკენი 74), პლასენტე, იენს ნოვოტნი, ლუსიო, რამელოვი, შნაიდერი (ბაშტურქი 46), ზე რობერტო, ბალაკი, კირსტენი (ბერბატოვი 46), ნოივილე

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

გაფრთხილება: ბალაკი, ჟივკოვიჩი, რამელო

მსაჯი: ალენ შამერი (ლუქსემბურგი)

35 019 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 12 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:4 | 7 |
| სპარტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:6 | 3 |
| პორტუ | 4 | 0 | 1 | 3 | 1:3 | 1 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| არსენალი | 4 | 2 | 1 | 1 | 8:5 | 7 |
| იუვენტუსი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 4 |
| ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:9 | 4 |

## გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩი

**ობერჰაუზენი — ჰანოვერი გადაიდო**

## ინგლისი

პირველი დივიზიონი
XXXVI ტური

**მანჩესტერ სიტი 4:0 შეფილდ უენსდი**

## საფრანგეთი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

**სტრასბური — ისტრი გადაიდო**

## შოტლანდია

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩები

**კლაიდბენკი — ბერვიკი გადაიდო**
**სტენჰაუზმური 1:1 ფორფარი**

მესამე დივიზიონი
გადადებული მატჩები

**დამბარტონი 2:1 ბრეჩინი**
**სტირლინგი 0:2 პიტერჰედი**

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

**სიტარდი 1:1 აიაქსი**

## საბერძნეთი

გადადებული მატჩი

**აკრატიტოსი 1:0 ეთნიკოსი**

## კალათბურთი

# ევროლიგა

მეორე ჯგუფური ეტაპი. I ტური. 27 თებერვალი

### E ჯგუფი

**ბენეტონი 94:66 სკავოლინი**

ბენეტონში ცქიტიშვილმა ითამაშა 5 წუთი, 2 ქულა

### H ჯგუფი

**ტაუ 101:69 ულქერი**

ულქერში ფარულავამ ითამაშა 8 წუთი, 7 ქულა

### G ჯგუფი

**აეკ 97:87 ოლიმპია**

ოლიმპიაში ბოისამ ითამაშა 8 წუთი 1 ქულა


ინდსაწარმო «არეალი»

თანამედროვე დიზაინით და ტექნოლოგიებით
ამზადებს ნებისმიერი სახის
საოფისე ავეჯს
სამზარეულოებს, კარადებს, მაგიდებს, სკამებს



მისამართი: თბილისი, ვაშლიჯვარი, გორგაშვილის 97 (გეოლოგების ბარაკი)
ტელეფონები: 39 00 98 ან 8 99 54 07 01



ხელმისაწვდომი ფასები
გადახდის ნებისმიერი ფორმით

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. A ჯგუფი

# 29 წლის ოლემ კითხვა ისწავლა

**მანჩესტერი 5:1 ნანტი**

0:1 და როშა (17), 1:1 ბექჰემი (18), 2:1 სოლსკიაერი (31), 3:1 სილვესტრი (38), 4:1 ვან ნისტელროი (64,პ), 5:1 სოლსკიაერი (78)

მანჩესტერი: ბართეზი, გ. ნევილი, ირვინი, ბლანი (ოშეი 69), სილვესტრი, კინი (ბატი 76), ბექჰემი, გიგზი, ვერონი, ვან ნისტელროი (ფორლანი 69), სოლსკიაერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ნანტი: ლანდრო, დელომო, სეტო, ფაბრი, არმანი, აჰამადა (ვაირუა 62), ბერსონი, ჯეშმა (სავინო 57), ზიანი (კუონტი 78), ანდრე, და როშა

მწვრთნელი: ანხელ მარკოსი

გაფრთხილება: ბერსონი

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

66 492 მაყურებელი

„ნანტის" შერცხვენით, განადგურებით თუ მიწასთან გასწორებით — მოკლედ, როგორც გნებავთ, ისე თქვით, სერ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტის გაგრძელება, ხოლო დუბლის შემსრულებელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა დაბადების დღე აღნიშნეს. სეზონში ოცდამეათე გოლი მიითვალა რუუდ ვან ნისტელროიმ და ერთი გოლი მიკაელ სილვესტრმაც კი შეაგდო. გაიტანა დევიდ ბექჰემმაც — ცხადია, უზადო საჯარიმოთი.

თუმცა თავიდან მოვყვეთ. თავიდან კი ფრანგები გაწინაურდნენ, ფრედერიკ და როშამ შეაგდო და ვაღიაროთ, რომ ჯობდა, სულ არ გაეტანა, რაკი მასპინძლები გვარიანად გააბრაზა. საერთოდ კი იმის აღნიშვნა, რომ „მანჩესტერი" უზარმაზარ უპირატესობას ფლობდა, ზედმეტი უნდა იყოს.

როგორც ვთქვით, სოლსკიაერს დაბადების დღე ჰქონდა და დავაზუსტოთ — 29 წლისა მოიყარა. ფერგიუსონმა კი მასზე განაცხადა: „ოლეს სრულიად ფანტასტიკური სეზონი აქვს. ღმერთი დღე უმატებს და მართალია, კარგა ხანია ვიცნობ, თამაშის წაკითხვის ასეთი უნარი თუ ჰქონდა, ახლა აღმოვაჩინე". ლავძინოთ, რომ ნორვეგიელს ბოლო ექვს მატჩში ექვსი გოლი დაუგროვდა.

ვან ნისტელროიმ კი პენალტით გაიტანა, ისევე როგორც იმავ „ნანტთან" წინა ტურის მატჩში და პირადი სალიგო მონაგარი რვა გოლამდე გაზარდა, რითაც დუაიტ იორკის მანჩესტერული რეკორდი გაიმეორა. იორკმა ამდენი გოლი 1998-99 წლების სეზონში შეაგდო, ხოლო თავში ნახსენები ოცდაათი გოლი მანჩესტერელთაგან ბოლოს ბრაიან მაკლეირმა მიითვალა 1987-88 წლების სეზონში.

მოგვიანებით, 69-ე წუთზე, მწვრთნელმა პოლანდიელი დიეგო ფორლანით შეცვალა, რაც ასე ახსნა, ამ უქმეებზე „დერბის" ვხვდებით და მინდოდა, ცოტათი მაინც დამესვენებინაო.

ძალიან მოინდომა მიკაელ სილვესტრმაც და ორმაგად კმაყოფილი დარჩა — მატჩს ხომ საგანგებოდ მისი თამაშის სანახავად ჩასული როჟე ლემერი ესწრებოდა.

ერთი სიტყვით, „მანჩესტერი" აკეთებდა ყველაფერს, რაც სურდა, ნანტელთა ახალმა თავკაცმა ანხელ მარკოსმა კი თავი ასე იმართლა: „ახალგაზრდული გუნდი ვართ. გატანილი გოლის მერე ოდნავ მოვეშვით და ამიტომაც დავისაჯეთ. უპირატესობის შენარჩუნება ცოტა მეტ ხანს რომ მოგვეხერხებინა, არ გავნადგურდებოდით". შევნიშნოთ, რომ და როშას გოლიდან ბექჰემმა ერთ წუთში გაათანაბრა, მერე კი მიჰყვა და მიჰყვა.

**ბაიერნი 1:0 ბოავიშტა**

1:0 სანტა კრუზი (81)

ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, ჰარგრივსი, იერემისი (პიზარო 61), შოლი (სერჯიო 76), ეფენბერგი, ელბერი (ფინკი 83), სანტა კრუზი

მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი

ბოავიშტა: რიკარდუ, ბოსინგვა, ე. ლიმა, პედრუ ემანუელ, მარიუ ფერნანდეშ, ჟორჟე სილვა, ე. სანჩესი (რუი ლიმა 78), მარტელინიუ, ელპიდიუ სილვა (ალექსანდრე 46), ჟორჟე კოუტუ (დუდა 66)

მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ

გაფრთხილება: მარტელინიუ, ჟორჟე სილვა, ფერნანდეშ, კოუტუ, ბოსინგვა

მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

**მიუნხენის** „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგის საშინაო მატჩი 1997 წლის მერე აღარ წაუგია და მარცხი არც ამ შეხვედრაში ემუქრებოდა. ბოავიშტელებს დიდად არ გამოუდიათ თავი იერიშებით, მაგრამ საკუთარ კარს დიდი სიფრთხილით დარაჯობდნენ და ფრეც სასურველ შედეგად მიაჩნდათ — რატომაც არა.

მეორე მხრივ, არც „ბაიერნი" ირჯებოდა სანაქებოდ და „ოლიმპიაშტადიონზე" მისულმა ოცდაათი ათასმა ქომაგმაც მოიწყინა.

საქმის ამგვარი მსვლელობა კი ოტმარ ჰიცფელდს ხელს არ აძლევდა, რაკი გუნდის ბოლოდროინდელმა ჩავარდნამ მას კრიტიკოსები მოუმრავლა და ერთი უბრალო, მაგრამ ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო — 61-ე წუთზე იენს იერემისი კლაუდიო პიზაროთი შეცვალა.

თითქოს პერუელის გამოჩენას ელოდნენო, მიუნხენელები ათამაშებდნენ, ტემპს უმატეს და მალევე პიზარომ ხარიხა შეაზანზარა. ხოლო მატჩის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე პარაგვაელმა როკე სანტა კრუზმა ბიქსენტ ლიზარაზუს პასით, როგორც იქნა, გამარჯვებისა გაიტანა.

კვლავ ცუდად შეაფასეს შტეფან ეფენბერგის თამაში. სტუმრებს ერთი კარგი მომენტი ჰქონდათ და ისიც მასპინძელთა კაპიტნის შეცდომის წყალობით — მეორე ტაიმის დასაწყისში საჯარიმოს შესრულებისას „ეფემ" ცოცხალი კედელი დაშალა, უდროო დროს ახტა მაღლა და კედელში გამძვრალი ბურთი ოლივერ კანმა რის ვაი-ვაგლახით მოიგერია.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 2 | 2 | 0 | 10:3 | 8 |
| ბაიერნი | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 8 |
| ბოავიშტა | 4 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 4 |
| ნანტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2:8 | 1 |



მანჩესტერი — ნანტი. ოლე გუნარ სოლსკიაერმა დაბადების დღე დუბლით აღნიშნა

ჩემპიონთა ლიგა. მეორე ჯგუფური ეტაპი. IV ტური. B ჯგუფი

# მონტელამ კაპელოს ჯინაზე ბარსელონა გაჭყლიტა

**რომა 3:0 ბარსელონა**

1:0 ემერსონი (60), 2:0 მონტელა (73), 3:0 ტომაზი (90)

რომა: ანტონიოლი, პანუჩი, სამუელი, ძებინა, კაფუ, კანდელა, ფ. ლიმა, ემერსონი, ტოტი (კასანო 87), ბატისტუტა (ტომაზი 72), დელვეკიო (მონტელა 46)

მწვრთნელი: ფაბიო კაპელო

ბარსელონა: რეინა, პუიოლი, დე ბური, კრისტანვალი, სერხი, ხერარდი, კოკუ, მოტა (ოვერმარსი 63), ლუის ენრიკე (როჩემბაკი 82), რიკელმე, კლუივერტი

მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

გაფრთხილება: დელვეკიო, ლიმა, კრისტანვალი, ტოტი

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

69 869 მაყურებელი

**დიდებული** მეორე ტაიმის წყალობით „რომამ" თავის „სტადიო ოლიმპიკოზე" „ბარსელონა" გატეხა, ზედიზედ სამი ფრის შემდეგ პირველად გაიმარჯვა და ჯგუფის ცხრილსაც სათავეში ჩაუდგა, თუმცა ბოლო, „ლივერპულს" მხოლოდ სამი ქულით უსწრებს და ამისდაკვალად, გარკვეული ჯერ არაფერია.

„ძალიან რთული, ტაქტიკური მრავალფეროვნებით გამორჩეული მატჩი იყო. შესვენებამდე ბევრი არაფერი გამოგვდიოდა, ბურთს ხშირად ვკარგავდით. გასახდელში ფეხბურთელებს ვთხოვე მეტი აგრესიულობა გამოეჩინათ და მეორე ტაიმში მათ საუცხოოდ ითამაშეს. „ბარსას" დარ გუნდს რომ მოუგებ, ის დღე დიდ ხანს დაგამახსოვრდება კაცს — თქვა თამაშის მერე რომაელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ — გადამწყვეტი მონტელას მეორე გოლი გამოდგა. მეოთხედფინალში გასულები ჯერ არ ვართ, მაგრამ მიხარია, რომ ჯგუფს სათავეში მოვექეცით. ახლა კი მხოლოდ „ლეჩესთან" მომავალ მატჩზე ვფიქრებთ".

„რომამ" „ბარსელონას" მოუგო, უფრო ზუსტად კაპელომ აჯობა რექსაჩს. შეცვლებიც დროული და გონივრული გააკეთა, მეორე, გარდამტეხი გოლი ხომ ტომაზისა და მონტელას ყოჩაღობას მოჰყვა, წერტილიც ტომაზიმ დასვა.

პირველი კი, თამაშის დამთავრებას ნახევარი საათი რომ უკლდა, ბრაზილიელმა ემერსონმა შეაგდო. ტოტი რამდენიმე მოწინააღმდეგეს გაუმკლავდა და კანდელა მოძებნა, ფრანგმა ლონივრად დაჰკრა, საჯარიმოში მყოფმა ემერსონმა კი ბურთს ფეხი შეაშველა და ანგარიშიც გაიხსნა. სამ წუთში რომაელთა მორიგი მიძალება ტოტის გოლით დამთავრდა, მაგრამ მსაჯებმა საეჭვო თამაშგარე აღნიშნეს. მალევე დელვეკიოს ნაცვლად შესულმა მონტელამ მეორედ შეარხია კატალონიელთა კარის ბადე. სხვათა შორის, მონტელასა და კაპელოს დაძაბული ურთიერთობის შესახებ კარგა ხანია ლაპარაკობენ. მონტელა ძირითადში იშვიათად ჩნდება ხოლმე და უსიამოვნებაც ამის ბრალია: „როცა მათამაშებენ თითქმის ყოველთვის გამაქვს და ეს დღეს სალამოსაც დავამტკიცე" — თქვა მონტელამ, რომელმაც წინა შაბათს „პერუჯასთან" მატჩშიც გამოიჩინა თავი.

სამშაბათ საღამოს ბატისტუტამაც შეაგდო, მაგრამ ეს მსაჯის სასტვენის შემდეგ გააკეთა და ბუნებრივია არ ჩაუთვალეს.

„ბარსელონას" მწვრთნელი კარლოს რექსაჩი: „თავიდან რიხით დავიწყეთ, მერე კი თამაში შევწყვიტეთ. რომაელებმა ფანტასტიკურად ითამაშეს, წამით არ მოდუნებულან და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

**გალათასარაი 1:1 ლივერპული**

1:0 ნიკულესკუ (70), 1:1 ჰესკი (78)

გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთი, ვიქტორია, ფლუერკინი, პოპესკუ, აიჰანი, ერგუნი, გოქდენი, არიფი, ნიკულესკუ (სერქანი 79), ჰასან შაში

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

ლივერპული: კირკლენდი, ანშო, ქსავიერი, ჰიპია, კარაგერი, შმიცერი (ლიტმანენი 73), მერფი, ჰამანი, რიისე, ოუენი, ჰესკი

მწვრთნელი: ფილ ტომსონი

გაფრთხილება: ჰამანი, ჰესკი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

22 000 მაყურებელი

**ემილ ჰესკის** ეფექტურმა გოლმა „ლივერპული" სტამბოლში წაგებას გადაარჩინა. თურქები 70-ე წუთზე დაწინაურდნენ რუმინელი რადუ ნიკულესკუს თავურის წყალობით, მაგრამ სტუმართა დამრიგებელმა ფილ ტომპსონმა ლამის მაშინვე მინდორზე იარი ლიტმანენი შეუშვა და ჰესკის გოლიც ფინელის ყოჩაღობას მოჰყვა.

სხვა მხრივ, წინა კვირისა არ იყოს, „ლივერპულმა" კვლავაც თურქებზე მეტი მომენტები შექმნა, მაგრამ დიდებულად თამაშობდა „გალათასარაის" მეკარე მონდრაგონი.

თავის „ალი სამი იენზე" სტამბოლელებს უკვე 12 საევროთასო მატჩია აღარ წაუგიათ, თუმცა ბოლო დროს ვერც მოგებას ახერხებენ. „ფრეების სერია" ვერც ამჯერად დაარღვიეს.

ორი კვირის თავზე ჯერჯერობით ბოლოში მდგომი „ლივერპული" „კამპ ნოუზე" გაამთრებულ „ბარსელონას" ეწვევა და ბევრი რამეც სწორედ იქ გაირკვევა: „ყველაფერი ჩვენს ხელშია — ამბობს ლიტმანენი — თუ დარჩენილი ორი თამაშის მოგებას მოვახერხებთ, ალბათ მეოთხედფინალში გავაღწევთ. მართალია, ძნელი იქნება, მაგრამ შეუძლებელი არაფერია".

შარშან ნოემბერში „ბარსამ" ლივერპულში 3:1 გაიმარჯვა, თანაც ბრიტანელებს ნამდვილი გაკვეთილი ჩაუტარა, ახლა კი ლივერპულელთა ნახევარმცველ დენი მერფის სჯერა, რომ „კამპ ნოუზე" ღირსეულად წარმოაჩენენ თავს: შემოდგომაზე მოგვიგეს და მათი ქომაგები ახლაც იმავეს მოსთხოვენ, რაც ფეხბურთელებზე ცუდად იმოქმედებს. გარდა ამისა, ლეესთვის კარგ ფორმაში არ არიან, ჩვენ კი საკუთარი ძალებისა გვჯერა და ამიტომ „კამპ ნოუზე", არაფრის უნდა გვეშინოდესო.

**სოლომონ ბულისყვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 6 |
| ბარსელონა | 4 | 1 | 2 | 1 | 6:7 | 5 |
| გალათასარაი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| ლივერპული | 4 | 0 | 3 | 1 | 2:4 | 3 |



REUTERS

რომა — ბარსელონა. ვინჩენცო მონტელას (№9) გოლმა ხელები მასპინძლებსაც გააშლევინა და სტუმრებსაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

## UEFA CUP შემას თასი. მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

# ილოცეთ, სანამ გადმოხტებით, თორემ მერე თქვენთვის ილოცებენ

| | |
|---|---|
| მილანი (იტალია) — როდა (ჰოლანდია) | (1:0) |
| სერვეტი (შვეიცარია) — ვალენსია (ესპანეთი) | (0:3) |
| ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) — პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | (0:0) |
| ლიბერეცი (ჩეხეთი) — ლიონი (საფრანგეთი) | (1:1) |
| პარმა (იტალია) — ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | (0:0) |
| დორტმუნდი (გერმანია) — ლილი (საფრანგეთი) | (1:1) |
| აეკ (საბერძნეთი) — ინტერი (იტალია) | (1:3) |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) — გლაზგო რეინჯერსი (შოტლანდია) | (1:1) |



მათიას ზამერი: ჩვენ გავიმარჯვებთ!

**ლევერკუზენის** „ბაიერისგან" ნაწყენევი შთამბეჭდავი მარცხის შემდეგ დორტმუნდელებმა ნელ-ნელა ხმა ამოიღეს — „ლილთან" მატჩში ყველას დავანახვებთ, რისი ძალა შეგვწევს" — ამოღერღა „ბორუსიას" მცველმა კრისტოფ მეცელდერმა.

წარმატებაში ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი ჭარმაგ იურგენ კოლერსაც: „ჩვენ შევძლებთ რეაბილიტაციას. არაერთხელ გამოვსულვართ ისეთი შოკისგან, ლევერკუზენური მატჩისგან რომ მივიღეთ". გერმანული გუნდის დამრიგებელი მათიას ზამერი კი იქადნება, უნდა მოვიგოთო: „მეოთხედფინალში გასასვლელად უგოლო ფრეც გვყოფნის. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ანგარიშის შესანარჩუნებლად გავირჯებით. ასეთი ავანტიურა ისეთ გუნდთან, როგორიც „ლილია", ფრიად სახიფათოა. ორი გუნდის დავა „ბორუსიას" გამარჯვებით უნდა დასრულდეს".

ახლა რა ხდება ვაჰიდ ჰალილჰოჯიჯთან. საფრანგეთი და გერმანია მეზობლები არიან და, ცხადია, „დორტმუნდის" შერცხვენის ტალღამ ლილშიც ჩააღწია. ამ ტალღის სურნელით გაბრუებულა ლილელი ფორვარდი ფილიპ ბრუნელი, რომელიც „ბაიერის" ვაჟკაცობით ძალიან ნასიამოვნები დარჩა: „მე გერმანული გუნდის მცველები პირველ მატჩამდე უფრო ძლიერნი მეგონენ, მაგრამ ერთი გოლის გატანა რომ შევძელით, ვფიქრე, არც ისე ძნელად დასაჩაგვრი არიან-მეთქი. ჩემი ვარაუდი ლევერკუზენის შეხვედრამაც დამადასტურა, ამიტომ ყველანაირად შევეცდებით, დორტმუნდში შანსები მაქსიმალურად გამოვიყენოთ".

„ლილს" დაუბრუნდა ორი ტრავმამოშუშებული, ჯეისონ ბუტალი და ედვინ მურატი.

„დორტმუნდი" კი მოისაკლისებს ლარს რიკენს.

ის ახალგაზრდა ხომ გახსოვთ, მილანის „ინტერისა" და აეკ-ის მატჩისას იარუსიდან იარუსზე რომ გადმოვარდა. ახლა ოპერაცია გაუკეთებიათ მისთვის, ხოლო ჰექტორ რაულ კუპერი ყველას მოუწოდებს, ასეთი თავდადებული კაცის გადასარჩენად ვილოცოთო.

ჭალარა ჰექტორს გადაუწყვეტია, მხუთავი იტალიელი, კრისტიან ვიერი ამოასუნთქოს და ათენში უიმისოდ გაემგზავრება. ცხადია, ეს ბერძნებსაც გაახარებდა.

ნიკოლა ვენტოლამ სცადა, მწვრთნელის მუშაობა შეეფასებინა და კარგადაც გამოუვიდა: „კუპერი — თქვა ვენტოლამ — თავის საქმეს მშვენივრად უძღვება, თუმცა რონალდო მაინც გვაკლია. ეგ რომ გვყავდეს, გაცილებით ძლიერნი ვიქნებოდით, რონალდო საუკეთესოა მსოფლიოში. ჩვენ არ გვაქვს წაფორხილების უფლება. ამჟამად ათენური მატჩისთვის ვემზადებით, თუმცა ჩემპიონატში ორი უმძიმესი შეხვედრა გველის. არ უნდა დავკარგოთ ქულები „მილანთან", რადგან შემდეგ „იუვენტუსთან" მატჩში უპირატესობა გვქონდეს".

ვეღარ მოითმინეს ლიდსელმა ფანებმა. ბოლო ტურში „ჩარლტონთან" ფეხბურთელებს სტვენით აგრძნობინეს ყველაფერი. ასეთ საქმეებში მაშინვე ჩაერევა ხოლმე პრეზიდენტი და არც ეს შემთხვევა ყოფილა გამონაკლისი: „ქომაგნი უნდა დამშვიდნენ. ვიცით, რომ ისინი ამბიციურები არიან. ნუ ავტეხთ პანიკას რამდენიმე გაცუდებული შეხვედრის გამო. ჩვენ კიდევ გვაქვს საკმაო პოტენცია იმისთვის, რომ უეფას თასზეც გავაგრძელოთ წინსვლა და პრემიერლიგის ოთხეულში შესასვლელადაც ვიბრძოლოთ".

სანამ ესენი პოტენციაზე საუბრობენ, „პსვ ეინდჰოვენმა" „უტრეხტი" შეამკო ოთხი უპასუხო გოლით ჩემპიონატში, ვენეგორორ ოფ ჰესელინკმა ჰეთ თრიქი შეასრულა.

დიდი ზარ-ზეიმით ელიან „რეინჯერს" როტერდამში. რა თქმა უნდა, მასპინძლები მოგებაზე ლაპარაკობენ, თუმცა ერთი მიზეზი სიხარულისა სხვა რამ გახლავთ. უეფას თასის ფინალი, მოგეხსენებათ, როტერდამში გაიმართება 8 მაისს. ჰოდა, იქაურებს, ალბათ, ნისიად „ფეიენოორდი" ესიზმრებათ ფინალში სტადიონ „დე კუიპზე". ამ მოედანმა ხომ თვით ევრო 2000-ის ფინალი იგემა.

თავად ჰოლანდიელი, გლაზგოელთა ნახევარმცველი ბერტ კონტერმანი თვისტომებს ტორე ანდრე ფლოთი ემუქრება. მოკლედ, გაბუქა, ეს ისეთი ბიჭი გვყავს, სულ თავბედს გაწყევლინებთო: „მახსოვს, როცა ჯერ კიდევ „ფეიენოორდში" ვთამაშობდი, ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსი" გადაგვეყარა და ორჯერ ბრწყინვალედ ითამაშა ფლომ, რომელიც მაშინ ლონდონურ კლუბს ამშვენებდა".

მერვედფინალში გასულ თელ ავივის „ჰაპოელს" არსად ტოვებენ ქომაგნი. ებრაული სათვისტომოს 3 000 კაცი პარმას ჩააკითხავს და „ჰაპოელს" გაამხნევებს.

„სოშოსთან" ბოლო ტურის მატჩში ლიონელმა სიდნეი გოვუმ ორი გოლი გაიტანა. მართალია, აქედან ერთი საკუთარ კარში, მაგრამ ხომ გაიტანა. ამიტომაც არის, ალბათ, იმტაზე მოსული „ლიბერეცთან" მატჩის წინ: „ჩვენ პაერივით გვჭირდება გოლი, რომელიც აუცილებლად უნდა გავიტანოთ. ეს უნდა მოვახერხოთ მთელი ძალისხმევით. უნდა ვიბრძოლოთ 90 წუთის განმავლობაში".

ცუდი ამინდების გამო გადაწყდა, რომ „ლიბერეცი" „ლიონს" ღედაქალაქ პრაღაში უმასპინძლებს.

ბოლოს „მილანზე" და „ვალენსიაზეც" ვთქვათ ორიოდ სიტყვა. ჩანს, კარლო ანჩელოტიმ შეძლო გუნდში არსებული კრიზისისა და უთანხმოების აღმოფხვრა და „მილანს" გამარჯვებები დაუბრუნა. ასეთი განწყობით კი „შავ-წითლებს" „როდას" ბარიერის დაძლევა არ უნდა გაუჭირდეთ.

რაც შეეხება „ვალენსიას", მისთვის „ბარსელონაც" კი არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს და „სერვეტი"? თუმცა ვინ იცის, აქედან წასულმა ქარიშხალმა რომ დაუბეროს დღეს ევროპაში, იქნებ „ვალენსია" აწეწოს კიდეც.

**გაგა ხუციშვილი**



კრისტიან ვიერი საბერძნეთში არ წაიყვანეს



„რეინჯერსის" ჰოლანდიელები თვისტომებს ტორე ანდრე ფლოთი აშინებენ



# მქვსი კილო ვერცხლისთვის

**6 მარტს** მადრიდის „რეალი" ასი წლის ხდება და იუბილედღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ესპანეთის სამეფო თასის ფინალში „დეპორტივოს" უმასპინძლებს.

ამ ფაქტს კიდევ ერთი იუბილე დაემთხვა — ესპანეთის თასი საუკუნისა მოგრილა. მადრიდული კლუბის დაარსების მსგავსად, თასის გათამაშებასაც 1902 წელს ჩაეყარა საფუძველი და არ გაინტერესებთ, ვინ იყო მისი პირველი მფლობელი? „ვისკაია", კლუბი, რომლის რაობაც ახლა, ალბათ, თავად ესპანეთშიც ბევრისთვის უცნობია. არადა, ახლა ასე მივიწყებულ გუნდს წინა საუკუნის დასაწყისში, თასის ფინალში „ბარსელონა" 2:1 დაუმარცხებია, რის მერეც კიდევ ორჯერ გასულა ფინალში, თუმცა წარმატების გამეორება ვეღარ მოუხერხებია. მაგრამ ახლა „ვისკაიაზე" მეტად თავად თასი გვაინტერესებს და ამ კლუბზეც აღარ გავაგრძელებთ მოყოლას, მით უფრო, რომ სათქმელიც აღარაფერია.

თასმა, რომელიც 1902 წელს დამზადდა, 1975 წლამდე ბევრი ისეთი კლუბის ხელში გაიარა, რომელთა სახელიც დღეს „ვისკაიასი" არ იყოს, მივიწყებულია. ასე მაგალითად, „ურიონი" ოთხჯერ გახდა მისი მფლობელი, თითოჯერ „გუეხო" და „სისლისტა", ფინალში კი იმდენ უსახელო გუნდს უთამაშია, ახლა მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

ზემოთ 1975 წელი ვახსენეთ და არცთუ ტყუილად, რადგან იმ წელს უკანასკნელად გათამაშდა ის თასი, რომელიც საუკუნის დასაწყისში „რეალთან" ერთად დაიბადა. და ვინ მოიგო თასი იმ წელს? — „რეალმა", რომელმაც გაჭირვებით, პენალტებით დაამარცხა თანაქალაქელი „ატლეტიკო".

მომდევნო წელს, დიქტატორ ფრანკოს სიკვდილთან ერთად დაიბადა ახალი თასი, რომელსაც სამეფო ანუ „კოპა დელ რეი" უწოდეს და მისი პირველი მომგები წინა წელს ხელმოცარული „ატლეტიკო" გახდა. ამის შემდეგ 14 წელიწადი გავიდა და „ბარსელონამ" ესპანური ფეხბურთის დიდმოხელენი იძულებული გახადა, ახალი თასის დამზადებაზე ეფიქრათ, რადგან ძველი 1990 წელს მეხუთედ მოიგო (1976 წლის შემდეგ) და იქაური წესით სამუდამო მფლობელობაში დაიტოვა.

1991 წელს ახალი თასი ისევ მადრიდის „ატლეტიკომ" დაისაკუთრა და ეს სწორედ ის თასია, რომელსაც 6 მარტს „სანტიაგო ბერნაბეუზე" მორიგ პატრონს ჩააბარებენ.

თასი ვერცხლისაა და 6 კილოგრამს იწონის. მომავალი ფინალისთვის კი საგანგებოდ დაამზადეს პატარა ასლები, რომლებიც მოგებული გუნდის წევრებს გადაეცემათ. ფინალში ხელმოცარულთ კი მედლებს ჩამოურიგებენ.

კიდევ ის ვთქვათ, რომ თასის ბოლო მფლობელი „სარაგოსაა", გუნდი შვიდი თვე ინახავდა ჯილდოს, შემდეგ კი გამოფენაზე გაიტანა. გამოფენაც დასრულდა და თასი სარუცხლიერო ფირმა „ალეგრეს" ჩააბარა, რომელიც 1976 წლიდან პასუხს აგებს მის უსაფრთხოებაზე — ცოტა ხნით მადრიდის ცენტრში, თავის კანტორაში ინახავს, შემდეგ კი მომავალი ფინალის გასამართ ქალაქში მიაქვს.

წლეულს „ალეგრეს" თასის ქალაქიდან ქალაქში ტარება არ მოუწევს, ფინალი ხომ მეზობელ უბანშია.

**ნიკა შუბლაძე**

# ფერგიუსონი კეტით დატოვეს

## მანჩესტერი სერის ცოლს უმადლოდეს



**გუშინ** გაფორმდა ის, რაც საფეხბურთო სამყარომ უკვე რამდენიმე კვირაა, იცოდა. სერ ალექს ფერგიუსონმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი. ასე და ამგვარად, შოტლანდიელი მწვრთნელის 1986 წელს დაწყებული ოლდტრეფორდული კარიერა 2005 წლის ივნისში დასრულდება. ისე კაცმა რომ თქვას, ამის წინასწარ თქმაც ძნელია, რადგან ფერგიუსონი თითქოს ამ სეზონის ბოლოსაც მიდიოდა...

ბოლო დრომდე შოტლანდიელი აცხადებდა, ახაკი თავისას აკეთებს (სამოცი წლისაა), გადავიღალე და მირჩევნია, დავისვენოო. „მანჩესტერის“ ხელმძღვანელობაც კარგა ხანს იყო შეფიქრიანებული ფერგიუსონის წასვლით და შემცვლელსაც ეძებდა. ამ ძებნისას ევროპაში სახელოვანი მწვრთნელი არ დარჩენილა, „ოლდ ტრეფორდზე“ მისვლის კანდიდატად არ დაესახელებინოთ. ის კი არა, საბუქმეიკერო კანტორები ფსონებსაც იღებდნენ ფერგიუსონის შემცვლელის გამოცნობაზე.

საბოლოოდ კი ისე მოხდა, რომ „იუნაიტედის“ ხელმძღვანელობამ ახლის მოყვანაზე ხელი ჩაიქნია, ფერგიუსონს კი იმხელა ანაზღაურება შესთავაზა — 11 მილიონი გირვანქა სამ სეზონში — ჯერ არც ერთ მწვრთნელს რომ არ ღირსებია. შოტლანდიელიც დათანხმდა.

ახლა გამჟღავნდა, რომ სერ ალექსის თანხმობაში დიდი როლი ითამაშა მისმა მეუღლე კეტიმ: „მას მხარი რომ არ დაეჭირა და ჩემი შვილებიც არ დამთანხმებოდნენ, ამ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი“ — თქვა ფერგიუსონმა. აქვე აღვნიშნოთ, რომ მას სამი ვაჟი ჰყავს.

მწვრთნელის დარჩენას ფეხბურთელთაგან პირველები დევიდ ბექჰემი და გარი ნევილი გამოეხმაურნენ. ისე, ორივე მათგანი სწორედ შოტლანდიელმა აღზარდა „იუნაიტედისთვის“. ისიც გავიხსენოთ, რომ ბექჰემი სერ ალექსმა ცოტა ხნის წინ სათადარიგოთა სკამზეც კი გაამწესა და რამდენიმე თამაში გამოატოვებინა.

ოფიციალური ვერსიით, ბექჰემს ზურგი სტკიოდა. თუმცა როგორც ვარაუდობდნენ, საქმე სულ სხვაგვარად იყო და მწვრთნელმა ფეხბურთელს დაუმტკიცა, რომ „იუნაიტედს“ მის გარეშეც შეუძლია მოგება. ეს კი ფერგიუსონს იმიტომ დასჭირვებია, რომ ბექჰემი ყოყმანობს, ვერ გადაუწყვეტია, გააგრძელოს თუ არა კონტრაქტი. ფეხბურთელი არც იმას მალავდა, ახალი კონტრაქტის თაობაზე ჩემი გადაწყვეტილება დიდად იქნება დამოკიდებული ფერგიუსონის დარჩენაზეო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფერგიუსონი „იუნაიტედის“ მწვრთნელად კიდევ სამი წლით დარჩა. ჯერი ბექჰემზეა, თუმცა მისი ცოლი რომ წინააღმდეგია?

**ნიკა ზუბლაძე**

# ჯარისკაცის მამა კოლუჩის წინააღმდეგ

**ბრავო** ჯუზეპე კოლუჩი! იტალიის 21 წლამდელთა ნაკრებისა და „ვერონას“ ამ მოთამაშემ დიდი საქმე გააკეთა — რომში, ტრიბუნალს თავისი სიმართლე დაუმტკიცა და დაასაბუთა, რომ ფეხბურთელები შემოქმედთა კატეგორიაში შესაყვანი ხალხია, ეს კი გასაპრანჭი ტერმინი არ გეგონოთ: იტალიაში კულტურისა და მეცნიერების ის მოღვაწეები, რომლებიც ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე იღვწიან, ჯარში მიჰყავთ.

„ბედნიერი ვარ, რომ სხვა ფეხბურთელებს გზა გავუკვალე“ — თქვა კოლუჩიმ, რომელსაც მაშინვე ჰკითხეს, გრძნობს თუ არა თავს შემოქმედად. მან უპასუხა: „დღეს მე ფეხბურთელი ვარ, მხოლოდ და მხოლოდ კარგი ფეხბურთელი, მომავალში კი ვნახოთ, იქნებ შემოქმედადაც ვიგრძნო თავი“.

მაგრამ ამქვეყნად ყოველგვარ მოვლენას გამოუჩნდება ხოლმე მოწინააღმდეგე. კოლუჩის პრეცედენტს წინ ჯარისკაცთა მამების ორგანიზაცია აღუდგა. ამ ორგანიზაციამ გაავრცელა განცხადება, რომელშიც წერია:

„ეს გადაწყვეტილება მდიდრებისთვისაა მოგონილი, არადა, იტალიაში უამრავი ახალგაზრდა იძულებულია სამსახური დატოვოს, რადგან ჯარში გამოიძახეს“.

იტალიური წეს-კანონი კი ასეთია: ყველა მამაკაცი, ვინც 18 წელს გადააბიჯა, ვალდებულია 10 თვით ჯარში იმსახუროს. ეს კანონი 2005 წლამდე იმოქმედებს, 2005-ში კი სრულიად პროფესიული არმიის შექმნა დასრულდება.

კოლუჩის ინიციატივა იტალიის არმიის საფეხბურთო გუნდსაც არ ეპიტნავა. ბოლოს და ბოლოს, იტალიელ ჯარისკაცთა მსოფლიო საფეხბურთო ძლიერება ხომ სწორედ პროფესიონალ მოთამაშეთა გაწვევაზე იყო დამოკიდებული. თან ადრე იქ პირველი რანგის ვარსკვლავები თამაშობდნენ, თუმცა ბოლოხანს ქვედა დივიზიონების ხალხით კმაყოფილდებოდნენ.

**ბაჩუნა ძიძია**

# ტყუილია, ტყუილი!

## გულიტი აფრიკას დაუპატიჟებლად ესტუმრა

**თურქული** გაზეთი „ფოტომაჩი“ წერს, რომ ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილმა თავკაცმა მუსტაფა დენიზლიმ ნიგერიის საფეხბურთო ბოსებთან წინასწარ გარიგებას მიაღწია. თურმე მისი წარმომადგენელი ლაგოსს გაფრინდება და იქ გადაწყდება ჩაუდგება თუ არა დენიზლი მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალ „სუპერარწივებს“ სათავეში.

არადა, დღეს ლაგოსში ასეთი ვითარებაა: აფრიკის ერთა თასზე უსახური გამოსვლის შემდეგ, ეროვნულ გუნდს მწვრთნელად ადგილობრივი ფედერაციის ტექნიკური დირექტორი ფესტუს ონიგბინდე დაუნიშნეს და როგორც ირკვევა, გაუგებრობაც აქედან მოდის.

ქვეყნის სპორტის მინისტრმა ძალიან ფართოდ გაშალა ხელები: „უცხოელი მწვრთნელის მოძებნა ჩვენ არავისთვის დაგვივალებია, ამიტომაც ყველას ვაფრთხილებთ, ნუ ენდობიან ვიღაცებს, რომლებიც მათთან მივლენ და ნიგერიის ნაკრების მწვრთნელობას შესთავაზებენ. დენიზლის ამბავშიც ერთი მართალი სიტყვა არ ურევია“.

საოცარია, ცნობილი რუუდ გულიტი და ბერლინის „ჰერტას“ ყოფილი თავკაცი იურგენ რიობერი ჩავიდნენ კიდეც ნიგერიაში, მაგრამ იქ სუპერარწივების საჭესთან სულ სხვა კაცი დახვდათ.

ნიგერიის პოლიცია ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მწვრთნელებს პირდაპირ აეროპორტში გაქცევას უჯობთ, ჯერ დარეკონ ლაგოსში და შეამოწმონ მათ მართლა ეპატიჟებიან თუ არა.

შეგახსენებთ, რომ ფესტუს ონიგბინდემ ნიგერიის ნაკრები შორეულ აღმოსავლეთში არგენტინასთან, ინგლისთან და შვედეთთან სათამაშოდ უნდა წაიყვანოს.



**ბაჩუნა ძიძია**

# ფალკაო — მამაო?!

რობერტო პაულო ფალკაო — ვისაც 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ახსოვს, იმისთვის უბრალოდ ფალკაო და იტალიის ნაკრების კარში სუპერგოლის შემგდები კაცი, 1982 წლიდან მოყოლებული გუშინდლამდე მავანი ჯუზეპე ფრონტონის მამობას უარობდა. გუშინდლის მერე კი, უნდა არ უნდა, ეგ ფაქტი უნდა აღიაროს და, რაც კი მთელი ამ 20 წლის განმავლობაში ბიჭისთვის დაუკლია, მისხალ-მისხალ უნდა ჩაუკაკლოს. სწორედ ასე განსაჯა გუშინ იტალიის სასამართლომ, რობერტოსა და ჯუზეპეს მამაშვილობის ამბავს რომ განიხილავადა.

მხარეთა რეაქციებზე არაფერს იუწყებიან, თუმცა 20-წლიანი ალიმენტების ერთბაშად გადახდა ალბათ სარფიანი საქმე ვერ უნდა იყოს. დიდებით ემოციებს ფალკაოს იტალიიდან მხოლოდ ის თუ გააყოლებდა, რომ „რომა“ — „პერუჯას“ შეხვედრისას, როცა ტიფოზებს მისი იქ ყოფნის ამბავი აძცნეს, ტრიბუნები გამაყრუებელმა ყიჟინამ დაანგრია — რომაელებს ჯერაც არ დავიწყებიათ, თუ რა ლომის წილი უდევს ბრაზილიელს მათი კლუბის მიერ 1983 წლის სკუდეტოს მოპოვებაში.

**ტუნისის** ფეხბურთის ფედერაციამ იტალიური „პიაჩენცას“ თავკაც ვალტერ ნოველინოს ნაკრების გაწვრთნა შესთავაზა. აფრიკელები ფრანგი ანრი მიშელის მუშაობით უკმაყოფილონი არიან, თუმც ნოველინოს თანხმობა ჯერ არ განუცხადებია. ის კლუბიდან წასვლას სეზონის ბოლომდე არ აპირებს.

ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური „ლიდსის“ პრეზიდენტმა პიტერ რიდსდეილმა კლუბის გულშემატკივრებს სიმშვიდისკენ მოუწოდა. „ფანები ძალიან აგრესიულები არიან. ჩვენ კარგად ვიცით, მათი ამბიციების შესახებ, თუმც ბოლოდროინდელი შედეგების გამო პანიკაში ჩავარდნა არ ღირს. „ლიდსს“ ჯერაც აქვს შანსი, ჩემპიონი გახდეს. ასე რომ, გულშემატკივრებს უკმაყოფილების საბაბი არ უნდა ჰქონდეთ“ — განაცხადა რიდსდეილმა.**

**განელ** სამუელ კუფურს ეროვნული ნაკრების კაპიტნის სამკლავური ჩამოართვეს. ეს აფრიკის თასზე წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ მოხდა. ახლა კი ფეხბურთელი განის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტ ბენ კუფის ადანაშაულებს მომხდარში. კუფურის თქმით, ბენ კუფი მნიშვნელოვნად ავიწროებს ნაკრების თავკაც ფრედ ოსამა დუადოს. ამის გამო ეროვნულ გუნდში არაჯანსაღი სიტუაცია იქმნება. „ნიგერიასთან მატჩის წინ პრეზიდენტმა ფრანგული „ბასტიას“ წევრ მიშელ ესიენს დააბრალა, ტრავმა მოიმიზეზეო. ვფიქრობ, ეს მეტისმეტია“ — დაამატა კუფურმა. ამის გარდა, აწ უკვე ყოფილი კაპიტანი იმაზეც ალაპარაკდა, რომ ასოციაციას დღემდე არ გადაუხდია ფეხბურთელებისთვის შეპირებული ორი ათას-ორი ათასი დოლარი.

**ფრანგული „ოსერის“ ნახევარმცველი ოლივიე კაპო დაშავდა და ფეხბურთს რამდენიმე კვირით ჩამოშორდა. კაპოს კარგა ხანია, მარჯვენა მუხლი აწუხებდა, „ნანტთან“ მატჩში კი სწორედ ის მტკივანი მუხლი დაიზიანა. შეგახსენებთ, რომ ამჟამად „ოსერი“ სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა.**

**ინგლისური** „ვესტ ჰემის“ მოთამაშე ჯონ ჰათჩისონი ფეხბურთის მომავალ წლამდე გამოეთიშვიდობა. „ჩემთვის ეს დიდი დარტყმა იყო. ექიმთა თქმით, მყესები მაქვს დაზიანებული, ამას კი ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. როგორც მითხრეს, მოედანზე 2003 წლამდე ვერ გავალ, თუმც იმედი მაქვს, შედარებით უფრო მალე გამოვჯანმრთელდები. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მიზანია, სექტემბერში მაინც განვაახლო ვარჯიში“ — განაცხადა ჰათჩისონმა — როცა ფეხი დავიზიანე, საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ მერე მივხვდი, რომ კიდევ ადვილად გადავრჩი. იმ ეპიზოდში შესაძლებელი იყო უფრო უარესი ტრავმა მიმეღო. სამწუხაროა, რომ ახლა კლუბის გარდა ეროვნულ ნაკრებსაც გამოვაკლდები“. შეგახსენებთ, რომ ჰათჩისონი შოტლანდიის ნაკრების წევრია, რომელსაც ახლა გერმანელი ბერტი ფოგთსი წვრთნის.

**ესპანური „სევილიას“ ურუგვაელი მცველი ინტი პოდესტა დაშავდა. 23 წლის პოდესტამ უკვე გაიკეთა ოპერაცია მარცხენა მუხლზე და დაახლოებით ორ თვეს ვერ ითამაშებს.**

**ინგლისური** „ლივერპულის“ ჩეხმა ნახევარმცველმა პატრიკ ბერგერმა განაცხადა, რომ ორიოდ კვირაში სრულად გამოჯანმრთელდება. „ბოლო ორ თვეში ექიმებთან უფრო მეტი დრო გავატარე, ვიდრე მოედანზე. ახლა ფორმის აღსადგენად გარკვეული დრო დამჭირდება. თუმც ეს არ მაშინებს. ისე, საწყენი კია, რომ ტრავმებმა ასე გამაწამა. ამის გამო ვერც კლუბს ვეხმარები და ვერც ნაკრებს. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ორ კვირაში სრულ მზადყოფნაში ვიქნები“ — თქვა ბერგერმა.

**ხორვატიის ჩემპიონატის პირველი დივიზიონის რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელობამ ტელეარხ NOVA TV-ის მისამართით უკმაყოფილება გამოთქვა. საქმე ისაა, რომ ეს არხი ადგილობრივი ჩემპიონატის მატჩების მიმდინარეობისას პირდაპირ ეთერში ინგლისური პრემიერლიგის შეხვედრებს აჩვენებს. კლუბის ხელმძღვანელთა თქმით, ამან პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა სტადიონზე მაყურებელთა რიცხვის შემცირებაზე. ამიტომ ისინი პრემიერლიგის მატჩების ჩვენების აკრძალვას მოითხოვენ იმ დროს, როცა ეროვნული ჩემპიონატის შეხვედრები იმართება.**

**არგენტინული** „ბოკა ხუნიორსი“ მეტად არასასიამოვნო სიტუაციაში მოხვდა. თვითმფრინავს, რომელშიც „ბოკა ხუნიორსის“ ფეხბურთელები იყვნენ, გაუთვალისწინებელი დაჯდომა მოუხდა. საქმე ისაა, რომ როგორც ეკიპაჟს შეატყობინეს, თვითმფრინავში ასაფეთქებელი ნივთიერება იყო დამონტაჟებული. შეგახსენებთ, რომ „ბოკა ხუნიორსი“ „ეძელეკთან“ ლიბერტადორესის თასის მატჩის ჩასატარებლად ეკვადორში მიფრინავდა. საბოლოოდ ყველაფერი კარგად დამთავრდა.

**იტალიის ნაკრების ყოფილი თავკაცი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ენცო ბეარზოტი თვლის, რომ თუ „სკუადრა აძურა“ მუნდიალზე ნახევარფინალამდე ვერ მიაღწევს, ჯოვანი ტრაპატონიმ ნაკრები უნდა დატოვოს. გეტყვით, რომ 74 წლის ბეარზოტი ამჟამად იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა განყოფილების პრეზიდენტია. „ჩვენს ნაკრებს შეუძლია, წარმატებას მიაღწიოს. ამიტომ მაღალი მიზნები უნდა დავისახოთ. ხოლო თუ ამას ვერ შევძლებთ, ვფიქრობ, ტრაპატონი უნდა წავიდეს. ზუსტად ასე მოხდა მაშინ, როცა მე დავტოვე მწვრთნელის პოსტი“ — თქვა ბეარზოტიმ. შეგახსენებთ, რომ ის ნაკრებიდან 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე სუსტი გამოსვლის შემდეგ წავიდა.**

**ესპანური** „ბარსელონას“ სათადარიგო მეკარემ რიშარ დუტრუელმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, საფრანგეთში დაბრუნდეს. „ადრე მქონდა იმედი, რომ მალე ძირითადი შემადგენლობის წევრი გავხდებოდი, მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. როგორც ვატყობ, „ბარსელონაში“ არავის ვჭირდები. კონტრაქტით კიდევ ორი წელი კლუბს ვეკუთვნი, თუმც, ალბათ, მანამდე წავალ. მეტის მოთმენა აღარ შემიძლია“ — თქვა ფრანგმა მეკარემ.

**ინგლისური „ნიუკასლის“ უელსელი თავდამსხმელი კრეიგ ბელამი კლუბს „არსენალთან“ და „ლივერპულთან“ მოახლოებულ ორ მატჩში ვერ დაეხმარება. ფეხბურთელს ფეხის ტრავმა აწუხებს. 22 წლის ბელამიმ მიმდინარე სეზონში უკვე 14 გოლის გატანა შეძლო და მისი არყოფნა „ნიუკასლისთვის“ დიდი დანაკლისი იქნება.**


სარბიელი

სამუშაოდ იწვევს

გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს

მიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის“ რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩაკიდეთ ფეხბურთი ლუდში

**ლუდის** მოყვარულ ფეხბურთის ქომაგებს გუშინ ერთი საამო ამბავი ეუწყათ — მსოფლიოს ჩემპიონატის მსვლელობისას სამხრეთკორეულსა და იაპონურ სტადიონებზე მისულთ, მათ თავისუფლად შეეძლებათ, ფეხბურთის ცქერისას გახურებული ნერვები ცივ-ცივი ლუდით დაიგრილონ ხოლმე. ერთი ეგაა, თითო ჯერზე მათ მხოლოდ პლასტმასის თითო კათხას მიართმევენ. ისიც დაითქვა, რომ თუკი უსაფრთხოების სამსახურმა რომელიმე მოლოთო ქომაგი აითვალწუნა, მაშინ მას არც ლუდის დალევის უფლებას მისცემენ, უფრო ძლიერ ალკოჰოლურ სასმელებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია — ეგ არც აქამდე იყო ნებადართული და, გინდაც გუგულივით მოიქეცი, არც ამის შემდეგ დაგალევინებენ.

ამ ყველაფრის შესახებ გუშინ ფიფას გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენრუფინენმა გვამცნო. აქაოდა, იაპონიისა და სამხრეთ კორეის საფეხბურთო მახვშებმა ეგრე გადაწყვიტესო. არადა, იყო დრო და მომენტი, როცა მასპინძლები ამგვარ დათმობაზე ცოცხალი თავით არ მიდიოდნენ და მელუდე სპონსორთა ინტერესებზე მორუდუნე ფიფელებსაც ნიადაგ ცივი უარით ისტუმრებდნენ. როგორც ჩანს, ბოლოს ფიფელთა არგუმენტებმა გაჭრა — გაჭრის თუ არა იქ დასალევი ლუდი, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**გოჩა ლუტიძე**

Copa Toyota Libertadores '2002

## ლიბერტადორესის თასი 2002

### I ჯგუფი. III ტური

**კობრელოა (ჩილე) 5:0 ალიანსა (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კობრელოა | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| სერრო პორტენიო | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| სან კაეტანო | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| ალიანსა | 3 | 0 | 1 | 2 | 0:9 | 1 |

### III ჯგუფი. II ტური

**სან ლორენსო (არგენტინა) 1:0 ელ ნასიონალი (ეკვადორი)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პენიაროლი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:1 | 3 |
| ელ ნასიონალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| სან ლორენსო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| რეალ პოტოში | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |

### V ჯგუფი. II ტური

**ველეს სარსფილდი (არგენტინა) 1:0 სპორტინგ კრისტალი (პერუ)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნასიონალი | 2 | 1 | 1 | 0 | 7:6 | 4 |
| ველეს სარსფილდი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| მორელია | 2 | 0 | 2 | 0 | 3:3 | 2 |
| სპორტინგ კრისტალი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | 0 |

## ინგლისი

### I დივიზიონი XXXVI ტური

**ბარნსლი 1:4 კრისტალ პალასი**
0:1 ფრიდმენი (29), 1:1 დაიერი (40), 1:2 რიიჰილა-ჰტი (56), 1:3 აკინბიი (83), 1:4 გრეი (84)

**ბრედფორდი 2:1 ნოტინგემი**
1:0 ჯესი (23), 1:1 პრუტონი (46), 2:1 ლოურენსი (88)

**ბარნლი 0:1 ბირმინგემი**
0:1 მუნი (25)

**გრიმსბი 3:1 სტოკპორტი**
1:0 ტოდი (6), 2:0 გროუვსი (31), 2:1 პალმერი (42), 3:1 ალენი (45)

**პორტსმუთი 1:0 ძოვენტრი**
1:0 კრაუჩი (53)

**პრესტონი 1:0 ვესტ ბრომვიჩი**
1:0 ეტუჰუ (56)

**როტერჰემი 3:2 ჯილინგემი**
1:0 რობინსი (33), 2:0 მულინი (48), 3:0 დოუსი (52), 3:1 ონუორა (76), 3:2 კინგი (85)

**უოტფორდი 2:1 ნორვიჩი**
1:0 ჰიუზი (7), 2:0 ნილსენი (40), 2:1 ი. რობერტსი (65)

**უოლვერჰემპტონი 3:0 უოლსოლი**
1:0, 2:0 სტერიჯი (55, 74), 3:0 ბლეიკი (76)

**შეფილდ იუნ. — მილუოლი** გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ველსი | 36 | 22 | 7 | 7 | 64:31 | 73 |
| სიტი | 33 | 20 | 5 | 8 | 74:42 | 65 |
| ვესტ ბრომვიჩი | 36 | 19 | 6 | 11 | 43:25 | 63 |
| მილუოლი | 35 | 17 | 9 | 9 | 55:36 | 60 |
| ბარნლი | 35 | 17 | 9 | 9 | 57:48 | 60 |
| ქოვენტრი | 36 | 18 | 5 | 13 | 53:35 | 59 |
| კრ. პალასი | 36 | 18 | 3 | 15 | 63:50 | 57 |
| ბირმინგემი | 34 | 16 | 8 | 10 | 51:39 | 56 |
| ნორვიჩი | 35 | 17 | 5 | 13 | 48:44 | 56 |
| პრესტონი | 35 | 14 | 11 | 10 | 53:47 | 53 |
| უოტფორდი | 36 | 13 | 9 | 14 | 52:44 | 48 |
| უიმბლდონი | 34 | 12 | 12 | 10 | 49:43 | 48 |
| ჯილინგემი | 35 | 13 | 8 | 14 | 51:53 | 47 |
| შეფილდი | 35 | 11 | 13 | 11 | 38:41 | 46 |
| ნოტინგემი | 36 | 10 | 15 | 11 | 38:34 | 45 |
| ბრედფორდი | 34 | 13 | 6 | 15 | 60:61 | 45 |
| პორტსმუთი | 35 | 12 | 8 | 15 | 51:60 | 44 |
| როტერჰემი | 36 | 10 | 13 | 13 | 45:54 | 43 |
| უენსდეი | 35 | 9 | 10 | 16 | 39:56 | 37 |
| ბარნსლი | 36 | 8 | 13 | 15 | 49:69 | 37 |
| ქრიუ | 32 | 9 | 8 | 15 | 32:54 | 35 |
| გრიმსბი | 36 | 8 | 11 | 17 | 30:56 | 35 |
| უოლსოლი | 36 | 8 | 8 | 20 | 37:60 | 32 |
| სტოკპორტი | 35 | 2 | 8 | 25 | 33:83 | 14 |

### ასოციაციის თასი. 1/8 ფინალი. გადათამაშება

**ძრიუ (I) 1:2 ევერტონი (0:0)**
1:0 ეშტონი (24), 1:1 რაძინსკი (45), 1:2 კ. კემბელი (70)

### მეოთხედფინალის წილისყრა

**9 მარტი: ნიუკასლი — არსენალი.**

**10 მარტი: მიდლსბრო — ევერტონი; ტოტენჰემი — ჩელსი**
**ვესტ ბრომვიჩი (I) — ფულემი**

# მარცხნისაკენ! მარჯვნისაკენ!

## ცქიტიშვილი საჭირო კაცია

— ცქიტო უნივერსალური ფეხბურთელია. მას შეუძლია იქ ითამაშოს, სადაც კონკრეტულ მატჩში გუნდის ინტერესები მოითხოვს. რომელ პოზიციაზე თამაშობს უკეთ, მიჭირს თქმა, რადგან თანაბრად კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, როგორც მარცხენა, ისე მარჯვენა ფლანგზე და ცენტრში. მისი უნივერსალურობის გამო, ცქიტიშვილის „ფრაიბურგში" გადმოყვანაზე თითქმის არ მიფიქრია — ასე ახასიათებს საქართველოს ნაკრების მცველ-ნახევარმცველს გერმანული „ფრაიბურგის" თავკაცი ფოლკერ ფინკე. მართალია მწვრთნელი, ლევან ცქიტიშვილმა ნლეულს თავდასხმისა და მეკარის ამპლუების გარდა ყველა პოზიციაზე ითამაშა და საკმაოდ კარგადაც. განსაკუთრებით მეორე წრეში მოუმატა.

— სამივე ქართველი სეზონისწინა შეკრებიდან ძალიან კარგ ფორმაში დაბრუნდა, მაგრამ ცქიტიშვილი მაინც უნდა გამოვარჩიო — ესეც „სარბიელისთვის" ნათქვამი ფინკეს სიტყვებია. მეორე წრეში ბადენვიუტენბერგელებმა სულ ერთი თამაში მოიგეს, „ნიურნბერგი" 2:0 დაამარცხეს და, თამამად შეიძლება ითქვას, ეს ცქიტიშვილის კარგი თამაშის წყალობით შეძლეს. სწორედ ლევანმა შექმნა ორივე საგოლე მომენტი, რომელთაგან ერთ-ერთი იაშვილმა დააგვირგვინა.

მართალია ცქიტიშვილისთვის არც მანამდე იყო „ფრაიბურგის" ძირითადი შემადგენლობა უცხო ხილი, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარმატებებმა მისი პოზიცია უფრო გაამყარა. ინტერვიუც ამით დავიწყეთ.



**ვანო ოქროპირიძე**



**ფრაიბურგიდან**

— რომ გითხრათ, სხვაგვარად მოვეკიდე საქმესო, არ ვიქნები მართალი. ყოველთვის იმას ვცდილობ ვარჯიშზე თუ თამაშზე, რომ ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავიღო, ბოლომდე დავიხარჯო. ისე მოხდა, რომ არდადეგებიდან კარგ ფორმაში დავბრუნდი, თანდათანობით მოვუმატე თამაშს და ძირითად შემადგენლობაშიც დავმკვიდრდი.

**— ძირითადში კი ხარ, მაგრამ რომელ პოზიციაზე მოგიწევს თამაში კონკრეტულ მატჩში, ამის გამოცნობა ძალიან ძნელია, არ გიჭირს ამპლუის ასეთი ხშირი ცვლა?**

— ცხადია, მიჭირს, მაგრამ ეს მწვრთნელის გადასაწყვეტია. ეტყობა, გუნდისთვის ასეა საჭირო, მეც ისღა დამრჩენია დავალება შევასრულო. ისე კი, როგორც ვთქვი, პოზიციის ასეთი ხშირი ცვლა ცოტა ძნელია.

**— მერე ფინკეს არაფერს ეუბნები?**

— მან უკეთ იცის კონკრეტულ მატჩში რომელ პოზიციაზე უფრო ვჭირდები. იმასაც კარგად მატყობს, სად უფრო მიადვილდება თუ მიჭირს თამაში.

**— შენ სად გირჩევნია?**

— ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ნახევარდაცვის ცენტრში ვითამაშებდი.

**— ბოლო დროს გუნდში რაღაც მოიშალა. მეორე წრის წინ თქვენს გავარდნას სკეპტიკოსებიც არ წინასწარმეტყველებდნენ, არადა, უკვე რეალური საფრთხის წინაშე ხართ...**

— საკმაოდ კარგად გვქონდა პირველი წრის მერე საქმე, მაგრამ ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა გავარდნის კანდიდატად გვაქცია. არც კი ვიცი, რითი შეიძლება ეს აიხსნას, ვარჯიშებზეც და თამაშებზეც ძველებურად ვართ, ბოლომდე ვიხდომებთ, მაგრამ ფაქტია, აშკარად გვიჭირს. მჯერა, თავს დავაღწევთ კრიზისს და ძველებურად ავთამაშდებით.

**— აგერ უკვე მეორე სეზონია პენალტი „ფრაიბურგისთვის" აქილევსის ქუსლად იქცა, ბოლო თერთმეტმეტრიანი შენ გააფუჭე...**

— ვარჯიშებზე ყველაფერი კარგად გამოგვდის, აი თამაშებზე კი... ცხადია პირიქით ჯობია.

**— შემდეგ პენალტს ვინ შეასრულებს?**

— ფინკეს გადაწყვეტილებით, ახლა ლევან კობიაშვილის ჯერია.

**— როგორ ემზადება „ფრაიბურგი" ბუნდესლიგის მორიგი მატჩისთვის?**

— შაბათს თუ თამაში გვქონდა, კვირას დილით დავრბივართ. ორშაბათს ვისვენებთ, სამშაბათს და ხუთშაბათს ორ-ორჯერ ვვარჯიშობთ, ოთხშაბათს ერთხელ, პარასკევს ისევ ვისვენებთ ცალკეული გამონაკლისების გარდა. შაბათს დილით კი მატჩისწინა ვარჯიში გვაქვს, ასეთია ჩვენი განრიგი.

მილუოკელმა „ხარირმებმა" იცოდნენ, რომ ურჩხულს ებრძოდნენ. მაინც ფხიალდ შეებნენ. „ბაქსი" დიდი შესვენების შემდეგ ათეული ქულით აგებდა. მასპინძლებმა ბოლო მეოთხედისთვის მოახერხეს დეფიციტის შევსება. გლენ რობინსონმა ზედიზედ ოთხი ქულა გამოსა, იქვე სემ კასელმა სამქულიანიც ესროლა სტუმრებს და „მილუოკი" 77:76 დაწინაურდა დამთავრებამდე ახე ცხრა წუთით ადრე წინაამდეგობის შემერცხებამ „ლეიკერსმა" ძალა იხმარა. მასპინძლებმა ორჯერ ჯარიმით შეჩერეს ვეება შაკილ ონილი. მისი ნასროლებიდან სამი ქულა გამოდნა, ორ მომდევნო შეტევაში თანაგუნდელებმა — ბრაიანტმა და დევინ ჯორჯმა ხუთი ქულა შეაგროვეს და მცირე ეპიზოდის 8:0 მოგები „ლეიკერსი" 84:77 გაუქცა მასპინძლებს. მილუოკელებს მაინც შერჩათ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი, მაგრამ სამწუხრო განაცხადში მოხსენიებული 12 კალათბურთელიდან ყველაზე მარჯვედ მსროლელი რეი ალენი იმ საღამოს ცუდ ფორმაში ჰყავდათ და ბევრიც ვერაფერი მოახერხეს.



დალასი — მემფისი. დალასელი სტივ ნეში შეინ ბეტიეს (მარცხნივ) და პაუ გასოლს გაუძვრა

ტურნეზე გახლდათ კიდევ ერთი დასავლელი გუნდი, „იუტა ჯაზი". თეთრი ოლიმპიადის გადამკიდე, მშობლიური სოლტ ლეიკ სიტიდან სამი კვირით გამოგდებულ „ჯაზმენებს" საქმე იქნებ „ლეიკერსზე" უკეთაც მისდიოდათ, ზედიზედ ექვსი მასპინძელი შეურცხვენიათ და უბედობა არ დაჩივლებოდათ, სანამ მთელს ნბა-ში ყველაზე ცუდ სათამაშო ადგილას, საკრამენტოში არ ჩავიდნენ. სადღეისოდ ნბა-ს 29 გუნდს შორის ყველაზე მეტისშემძლე „საკრამენტოს" „არკო არენაში" ნასტუმრები 31 მეტოქიდან 29 ნაწყენი გაუბრუნებია, ამათგან მრავალი დიდი ანგარიშით დაუჯაბნია და არც „იუტას" დააყენა კარგი დღე.

გადაბერებული მობურთალებით გაძეძგილ „ჯაზს" საზოგადოდ უჭირს ახალგაზრდა, სირბილისმოყვარულ ბიჭებიან გუნდებთან ჭიდაობა და ვერც ახლა ნახა ხეირი. „ჯაზმა" თამაში სეზონში უმეტესი, 29 ბურთი დაკარგა, კარლ მელოუნმა მხოლოდ 11 ქულა გააკეთა, ჯონ სტოქტონმა სულ ექვსი პასი გაახერხა. საბოლოოდ ის გამოვიდა, რომ წლეულს „საკრამენტოს" მესამედ შეჯახებული „იუტა" მესამედ დაინგრა, ახლაც ოც ქულაზე მეტით წააგო.

„განა ვერ ხედავთ, რომ ისინი ჩვენზე უკეთესები არიან. ჩვენ ვერ დავიცავით მათგან თავი და ვერაფერი დავაკლით მათ დაცვას, საერთოდ ვერ ვმოძრაობდით, დავიჩაგრეთ სისწრაფეში. სწრაფი შეტევა მხოლოდ ერთხელ გამოგვივიდა, დასაწყისში, როცა პირველი სადავო ბურთი მოვიგეთ. მას შემდეგ, მგონი, ერთხელაც არ დავრჩენილვართ ფართან მარტო" — „ჯაზის" მწვრთნელ ჯერი სლოუნის [...] მარცხმა გული გაუბზარა [...] რდები იმ დღეს უსუსურები იყვნენ.

წინა კვირის ხმაურიანი გაცვლების ქარმა „ჩიკაგოში" ორი ახალი და კარგი კალათბურთელი — ჯალენ როუზი და ტრევის ბესტი ჩაიტანა, რომელთაც საშორეულგებმდე უკეთესი მომავლის იმედი, ხოლო სახლიდან გამარჯვებები მოჰყვათ თან. „ჩიკაგომ" მოიგო ერთი თამაში, შემდეგ მეორე და ზედიზედ მესამედაც იმარჯვა, რითაც ამ სეზონში ჯერაც ვერშედლებული შეძლო. მაგრამ ადრე თუ გვიან ყველაფერი მთავრდება და ბოლო-ბოლო „ხარების" სამოვნების თითქოსდა დაუშრეტელი წყარო „ჯალოსნურმა" და „ბორობმა" „ორლანდომ" გადაკეტა.

**ირაკლი ფირუზაშვილი**

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკის დივიზიონი** | | | |
| | მ | წ | % |
| ნიუ ჯერსი | 38 | 17 | 69,1 |
| ბოსტონი | 31 | 25 | 55,4 |
| ორლანდო | 30 | 26 | 53,6 |
| ფილადელფია | 27 | 28 | 49,1 |
| ვაშინგტონი | 27 | 28 | 49,1 |
| მაიამი | 23 | 31 | 42,6 |
| ნიუ იორკი | 20 | 34 | 37,0 |
| **ცენტრალური დივიზიონი** | | | |
| მილუოკი | 32 | 23 | 58,2 |
| დეტროიტი | 31 | 23 | 57,4 |
| ტორონტო | 29 | 29 | 50,0 |
| ინდიანა | 28 | 28 | 50,0 |
| შარლოტი | 27 | 29 | 48,2 |
| ატლანტა | 20 | 36 | 35,7 |
| კლივლენდი | 20 | 36 | 35,7 |
| ჩიკაგო | 15 | 41 | 26,8 |
| **დასავლეთის კონფერენცია** | | | |
| **შუა დასავლეთის დივიზიონი** | | | |
| დალასი | 40 | 17 | 70,2 |
| მინესოტა | 38 | 18 | 67,9 |
| სან ანტონიო | 36 | 20 | 64,3 |
| იუტა | 31 | 25 | 55,4 |
| ჰიუსტონი | 20 | 36 | 35,7 |
| დენვერი | 16 | 37 | 30,2 |
| მემფისი | 15 | 41 | 26,8 |
| **წყნარი ოკეანის დივიზიონი** | | | |
| საკრამენტო | 41 | 15 | 73,2 |
| ლეიკერსი | 39 | 16 | 70,9 |
| პორტლენდი | 32 | 24 | 57,1 |
| სიეტლი | 31 | 26 | 54,4 |
| კლიპერსი | 29 | 30 | 49,2 |
| ფინიქსი | 27 | 30 | 47,4 |
| გოლდენ სტეიტი | 15 | 39 | 27,8 |



მაიკლ ჯორდანს მუხლზე შემოწყობილი ყინულები ტკივილს ვეღარ უამებს

# ჯორდანის ექიმები ვაშინგტონს პლეი ოფს აჭრიან

**„ვაშინგტონ ვიზარდსმა"** გუშინწინ ტრავმირებულთა სიაში შეიყვანა მაიკლ ჯორდანი. ეს იმას ნიშნავს, რომ მინიმუმ ხუთ თამაშს გამოტოვებს, ხოლო ეს რას ნიშნავს, საქმის ოდნავ მცოდნე კაციც უმალ მიხვდება.

მას შემდეგ, რაც კალათბურთში მესამედ მოვიდა, ჯორდანმა აჯობა ზურგის სპაზმებს, ორ ჩამსხვრეულ ნეკნს, 15-იოდ კილო ზედმეტ წონას, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა ოფიციალურ დაბრუნებამდე წავარჯიშებისას მსუბუქად ნატკენ მარჯვენა მუხლს. ახლა ცხოვრებაში სულ მეორედ მოუწევს ტრავმირებულთა სიაში ყურყუტი, თან მაშინ, როდესაც „ვაშინგტონს" მისი შემძლე და ჩაუქი მუხლი ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

„ვაშინგტონის" ქომაგთაგან ბევრმა იქნებ ინფარქტიც მიიღო, როცა გაცხადდა, რომ ჯორდანის საკალათბურთო მოედნისკენ მომავალი გზა საოპერაციო მაგიდაზე გაივლის, სადაც იქნებ დღესაც, 39 წლის ასაკში, ყველაზე მაგარ კალათბურთელს ქირურგის ბასრი დანა ელოდება. „მაიამისთან" კვირას, 24 თებერვლის შეხვედრაში ნატკენი მუხლის გამოსაჯანმრთელებლად ოპერაცია აუცილებელია.

„ზუსტად არავინ იცის, რამდენი ხნით დაგვაკლდება მაიკლი, შეიძლება ორი კვირით, შესაძლოა მთელი სეზონითაც. ვწუხვართ, თავად მაიკლი კი ყველა ჩვენგანზე მეტადაა გულგატეხილი. ის დაბრუნდა, რათა ეთამაშა, ეთამაშა, რაც შეიძლება ხშირად. ისიც თქვა, გული დამწყდება, 82-ვე თამაშში რომ ვერ მივიღო მონაწილეობაო. მან უკვე გამოტოვა ორი შეხვედრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი აქ არ მთავრდება. მოხარულნი ვიქნებით, თუ ოპერაციის შემდეგ ორ კვირაში ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგება, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენი იმედია". — პესიმისტურადაა განწყობილი „ვაშინგტონის" თავკაცი დუგ კოლინზი. მის გუნდს უჭირს.

ნოლსტარევს „ვიზარდსმა" რვა თამაშიდან შვიდი წააგო და აღმოსავლეთში მეხუთე ადგილიდან მერვეზე ჩამოქვეითდა. წესით, მოვლენებს არ უნდა ვუსწრებდეთ, თუმც ამჯერად მაინც ვიტყვით — ვეჭვობთ, უჯორდანო „ვაშინგტონმა" თამაშების ნახევარი მოიგოს, რაც იმას ნიშნავს, რომ პლეი ოფში ვერ მოხვდება.

მაიკლ ჯორდანის მუხლზე დახრილი სახეშეწილებული თეთრხალათიანების მარიფათზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

**ივანე კობიაშვილი**

# უნავთობო ქართველები მენავთობეთა მარაქაში

**ამას** წინათ ბავშვთა საკალათბურთო აკადემიაში ფაქსი მიიღეს, 1986 წელს დაბადებულებს თავრიზის ტრადიციულ ტურნირზე იწვევდნენ. რადგან აკადემიაში ამ ასაკისანი არ ჰყავდათ, ირანში ერთი წლით უმცროსები გაემგზავრნენ.

შარშან კარიერადამთავრებული დავით უსტიაშვილის ალსაზრდელები თავრიზის გზას აზერბაიჯანის გავლით გაუდგნენ და ბაქოში მასპინძელთა რჩეული თანატოლები დაამარცხეს. ირანში კი გაცილებით სერიოზულ მეტოქებს მოეყარათ თავი, რომელთაგან თავრიზისა და ირანის ნაკრებები გამოირჩეოდნენ. ამათ გარდა იყვნენ ყატარის, თურქმენეთისა და ქუვეითის გუნდები.

ტურნირი 18 თებერვალს დაიწყო და ხუთ დღეს გაგრძელდა. ქართველებმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს ნავთობის მაგნატი ქვეყნები და ბოლოსწინა შეხვედრაში ირანის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. დავით უსტიაშვილის თქმით, მასპინძლების დამარცხება ურთულესი ამოცანა გახლდათ, რადგან მათ ორი ძალიან მაღალი კალათბურთელი ჰყავდათ. „ირანის ნაკრებთან შეხვედრა ფინალად მონათლეს, რადგან მანამდელ მატჩებში მასპინძლებისა და ჩვენი უპირატესობა აშკარა იყო. მათ რამდენიმე გადაზრდილი ჰყავდათ, მათგან ორი 217-სანტიმეტრიანი. ამ შემთხვევაში ჩვენი ერთადერთი იარაღი შორიდან სროლა იყო, რადგან ფარქვეშ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა. პირველი ტაიმი 5 ქულით მოვიგეთ, თუმც შემდეგ მიზანი გაგვიცუდდა და საბოლოოდ დავმარცხდით. უკანასკნელი შეხვედრა კი მოვიგეთ, მაგრამ ტურნირის გამარჯვებულნი ირანელები გახდნენ. ჩვენ მეორეობას დავჯერდით" — გვითხრა დავით უსტიაშვილმა.

**ირაკლი ბერტაია**



ირანმოგებული აკადემიელები



ანდრე აგასი



ანა კურნიკოვა

# ვონცეს, ანდრეჯან?
## მოკეთებულ მაჯას აგასი ისტორიულ თვისტომზე გამოცდის
## ანამანიამ აკაპულკომდეც ჩააღწია

**დუბაი. პარდი**
**საპრიზო 1 მლნ $**

**ტომას იოჰანსონი (3, შვედეთი) — ალბერტ კოსტა (ესპანეთი) 6:3, 6:0; ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) — ომარ ბაჰრუზიანი (საემიროები) 6:1, 6:0; სხენგ შალკენი (ჰოლანდია) — არნო კლემანი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (7:1); რაინერ შიუტლერი (გერმანია) — ტომი რობრედო (ესპანეთი) 6:3, 6:2**

დუბაის მილიონიანი ტურნირის მეორე წრეში გასაღწევად უპირველეს ოთხ მეჩოგნეს, ხუან კარლოს ფერეროს, ევგენი კაფელნიკოვს, ტომას იოჰანსონსა და სებასტიან გროჟანს ჯამურ ოთხ საათზე მეტი არ დასჭირვებიათ. ანუ, მდაბიურად რომ ვთქვათ, თითომ თითო საათი მოიხმარა.

მუხლის ტრავმის მერე ნელ-ნელა მოკეთების გზაზე შემდგარ ფერეროს ჩეხმა ბოგდან ულირახმა ჩოგანი მხოლოდ პირველ სეტში შეუბრუნა, მერე კი მეესები მოისაკუთრა და გზას ბარაქა დააყენა. „მიხარია, რომ ფორმას ვიბრუნებ. მართალია, ავსტრალიის პირველობას გამოვაკელი, მაგრამ წინ კიდევ მრავალი ბობოლა ტურნირი გვიძევს და მიფრთხილდით" — უთქვამს ესპანელს.

ისე, ვინმეს თუ გაფრთხილება სჭირდება, ეგ — ისევ ფერეროს, რადგანაც მეორე წრეში მას შეჭარმაგებული მაროკოელი იუნეს ელ აინაუი შეეხლება და, როგორც სტატისტიკა გვაუწყებს, აქამდე ნათამაშებ ხუთსავე შეხვედრაში გამარჯვება სწორედ აფრიკელს ჰრგებია. „ეგ მართლაც ეგრეა — უსწრაფესი ჩაწოდება აქვს და ჩინებულ ხელწალმებსაც აბრახუნებს, მაგრამ როდესაც ხომ მაინც უნდა მოვუგო?".

სიჭარმაგესთან თავისი წილი დაპირისპირება უკვე წარმატებით გაასრულა ტომას იოჰანსონმა, ვინაც ესპანელი ალბერტო კოსტა, ერთი ათას კორტზე გადამხტარი კაცი გაისტუმრა შინ. „ეგრე კაცურად ავსტრალიის მერე არ მითამაშია. ჩემპიონთა რბოლაში პირველობას აბა რა სჯობს, მაგრამ ამას შენარჩუნება სჭირდება... თუკი ასე გავაგრძელე წლის ბოლომდე ეგებ ათეულში მაინც დავრჩე" — ნამატჩევს იოჰანსონი აი, ასე შეგულიანებულიყო.

**სან ხოსე. პარდი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ანდრე აგასი (2, აშშ) — სისილ მამიტი (აშშ) 6:7 (5:7), 6:3, 6:2; ტოდ მარტინი (აშშ) — კრისტოფ როშუ (ბელგია) 6:3, 6:2; ჟან-მიშელ გამბილი (4, აშშ) — იან ვაცეკი (ჩეხეთი) 6:2, 6:3; ანდრე სა (ბრაზილია) — ნოამ ოკუნი (ისრაელი) 6:4, 6:0; სარგის სარგსიანი (სომხეთი) — ალექს კიმი (აშშ) 4:6, 7:5, 7:6 (9:7)**

31 წლის ანდრე აგასიმ თავისი მარჯვე მარჯვენა მაჯა ზედ ავსტრალიის ღია პირველობის დაწყებამდე იტკინა. ორთვიანმა უთამაშებლობამ ამ მკვირცხლი ჯადო-მჩოგნის თამაშს კვალი მხოლოდ პირველ, ტაიბრეიკზე წაგებულ სეტში დააჩნია. ამის მერე კი სან ხოსეში ოთხჯერ ნაოჭროვებმა აგასიმ შეხვედრას ლაგამი ამოსდო, ჩაწოდება გაიზუსტა, მეტოქის სუსტ მეორე ჩაწოდებას აგრესიული დახვედრა მოუწყო და ორი საათის თავზე საქმე კამაც-კამაც ჩაათავა.

„ამდენი ხნის უთამაშებლობამ ცოტა რიტმიდან ამომაგდო, მით უფრო გამიჭირდა ისე ფიცხლად მოთამაშე ბიჭთან, როგორიც სისილია. მაგრამ შემდეგ ჯიგარი დამიცხრა, მაჯაც გამიხურდა და თამაშიც ჩემთვის სასურველ კალაპოტში გადავიყვანე" — თქვა მან ნამატჩევს.

მორიგ წრეში აგასი „ისტორიულ თვისტომს", თავის ძველ დოსტსა და მესპარინგე სარგის სარგსიანს დაუპირისპირდება. ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ, აშშ-ის ღია პირველობის შარშანდელ ჩემპიონ ავსტრალიელ ლეიტონ ჰიუიტს ფინალისკენ მიმავალი მისი წილი გზა გუშინ ფრანგ მიშელ ლოდრასთან ლლაბუცით უნდა დაეწყო.

**აკაპულკო. თიხნარი ვაკები. საპრიზო 750 ათასი $**

**გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — ალეხანდრო ერნანდესი (მექსიკა) 7:6 (7:4), 3:6, 1:2 (ერნანდესმა შეწყვიტა); ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) — ვინს სპადეა (აშშ) 6:2, 7:5; ფელიქს მანტილია (6, ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 2:6, 6:3 (ბლანკომ შეწყვიტა); ტომი ჰაასი (1, გერმანია) — ფლავიო სარეტა (ბრაზილია) 7:6 (7:5), 6:2; ნიკოლა კუტიე (საფრანგეთი) — დავიდ ნალბანდიანი (8, არგენტინა) 7:5, 6:4; მარიანო საბალეტა (არგენტინა) — ნიკოლას ლაპენტი (3, ეკვადორი) 4:6, 7:6 (7:5), 3:0 (ლაპენტიმ შეწყვიტა); ხაკობო დიასი (ესპანეთი) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 4:6, 6:4, 6:4; ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) — გილერმო კანასი (2, არგენტინა) 6:4, 6:4**

ერთმანეთის გარდა, აკაპულკოში თავმოყრილ მჩოგნეებს საშინელ ხვატთან ჭიდილიც უხდებათ. სწორედ ამის გამოა, ჩოგნებს ამდენი მოთამაშე დროზე ადრე რომ აშვლითებს.

მშობლიური მზის მხურვალებას გუშინ ვერც მექსიკელმა ალეხანდრო ერნანდესმა გაუძლო, ვისმა მოთქნითვამაც შარშან აგვისტოში ნაოპერაციევი და ვერაფრით ვერმოკეთებული მკლავი მაგრად ნორმანი ახვირა. ერნანდესთან თამაშამდე კორტზე მობრუნებულ ბევრ ნორმანს აქამდე ვინა დალ მარის ტურნირზეც ეცადა ბედი და ბუენოს აირესისაზეც, მაგრამ ორივეგან უიმედოდ ჩაესვარა.

სიცხესაც გაუძლო და ფლავიო სარეტას მედგარ წინააღმდეგობასაც გადალახავა პირველ ნომრად განთესილმა ტომი ჰაასმა. „მატჩის მერე მარტო გასაგრილებლად საათი დამჭირდა... მაგრამ მაინც მიხარია — ტურნირი იღბლიანად დავიწყე. ისე კი, მექსიკაში პირველად ვარ და აქაურობა ძალიან მომწონს. კორტები ხომ თითქმის სანაპიროზე მდებარეობს. იქ კი იმდენი ფრანცუზლა გოგოა" — წლევანდელი ავსტრალიის ნახევარფინალისტი ნამატჩევს მართლაც ზორბად ახურებულიყო.

დღის დანარჩენ შეხვედრათაგან კი უდიდეს ინტერესს არგენტინული დერბი — ჩელა — კანასის დაპირისპირება იწვევდა. ჩვენი მოლოდინი არ გამართლდა, კანასმა, ვინაც შარშანდელი სეზონი მსოფლიოში რანგით მე-14 ჩოგნის მქნევლად დაასრულა, მისგან გამოსაღლიდ თამაში ვერც ამჯერად აჩვენა.

**ქალები. საპრიზო 200 ათასი $**

**ანა კურნიკოვა (რუსეთი) — მარიანა დიას-ოლივა (არგენტინა) 6:4, 7:5; ემილი ლუა (საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) 6:4, 6:3; ამანდა კუტცერი (3, სამხრეთ აფრიკა) — ერიკა ვალდესი (მექსიკა) 6:0, 6:1**

აკაპულკო მექსიკის ერთი ყველაზე სასექსაო ალაგია და მთელი წლის განმავლობაში იქ მხურვალე სექსგოგოთა აურაცხელი გუნდები დარონიობენ (როგორც ზემოთ წაიკითხავდით, ეგ ტომი ჰაასსაც შეუმჩნევია).

მაგრამ ქალთა სჩოგბურთო ტურნირზე ანა კურნიკოვას გამოჩენამ მდედრებზე მონადირე ხვადები დამბანგველ პლაჟებს განარიდა და იქვე მორი-ახლო მდებარე კორტებზე გადაანაცვლა. მექსიკანსა და არგენტინელ დიას-ოლივას შორის შეხვედრის განმავლობაში კორტზე ფოტოაპარატების ჩხაკუნი არ შეწყვეტილა. ანასაც გული არავისთვის დაუწყვეტია და თავისი უზადო სხეულის ყოველისმხრით დემონსტრირებას მთელი 88 წუთი ახლდა — ანუ მეტოქის დასაოკებლად მას სწორედ ამდენი დრო დასჭირდა.

მერე კი იყო პრესკონფერენცია, რომელზეც მას უსაყვედურეს, ასეთ ისერა ტურნირზე ამხელა დაცვით რატომ ჩამოხვედიო, რაზეც ანას უპასუხია: კარგად ვიცნობ თქვენ მოდგმას და იმიტომო! ჩვენ გვგულისხმობდა, რა, ჟურნალისტებს.

**სკოტსდეილი. პარდი**
**საპრიზო 585 ათასი $**

**აი სუგიამა (იაპონია) — ლიზა რეიმონდი (5, აშშ) 7:6 (7:3), 6:0; ნიკოლ პრატი (ავსტრალია) — მეილენ ტუ (აშშ) 6:3, 6:2; ალინა ჟიდკოვა (რუსეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:2, 6:2; ბარბარა შეტი (6, ავსტრია) — ელენა ტატარკოვა (უკრაინა)... — ეჯინა გრეჯინი (იუგოსლავია) 6:3, 7:6 (7:5); ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) — ემი ფრეზიერი (აშშ) 1:6, 6:4, 6:4**

ამ ტურნირზე მონაწილეობას ისეთი ბობოლა გოგოები მიიღებენ, როგორებიც ჯენიფერ კაპრიატი, მარტინა ჰინგისი და სერენა უილიამსი გახლავან. ეს-ესაა WTA-ის რეიტინგსაში გაპირველებულმა ვინუს უილიამსმა კი სამკვირიანი შვებულება აიღო, რათა მოხლავლებულ მთაბეჭდილებებსა და ემოციებს სადმე კოკლოზინა კუროლტზე გაუყუჩდეს.

**ლევან ძილაურაძე**



ლინარესის სუპერტურნირი

# ლინარესს ჭადრაკი და ზიგმაკი ესტუმრნენ

**ამ დღეებში** ანდალუზიის ლინარესში ორი დიდი ამბავი მოხდა — გაიხსნა დედამიწაზე ალბათ მემილიონე „მაკდონალდსი" და 64-უჯრიანი „ბოევიკის" მორიგი სერია დაიწყო. შარშანდელისგან განსხვავებით, წლეულს ამ პატარა ქალაქში ნახევარი საჭადრაკო ჰოლივუდი ჩავიდა და მეორე ნახევარი რომ კანის არა კინოს, არამედ ჭადრაკის ფესტივალზე მოღვაწეობს, ამას ცალკე წერილში გაამბობთ.

გარი კასპაროვს, ვიშვანათან ანანდს, ალექსეი შიროვს, ვასილი ივანჩუკს, მაიკლ ადამსს და რუსლან პონომარიოვს ადგილობრივი მხუბუქი არტილერიიდან ფრანსისკო ვალეხო მიუერთეს და საკმაოდ შესანიშნავი შვიდეული ომს შეუდგა, ოღონდ ჭადრაკი წყვილთა სპორტია, 7 — კენტი რიცხვი, ამიტომ ყოველ მოჭადრაკეს ერთი დღე დასვენების ექნება და ტურნირის პროგრამაში საერთო უქმეებიც გახლავთ ჩართული.

XX კატეგორიის ტურნირის შემადგენლობა კარგა ხნით ადრე გახლდათ ცნობილი, მაგრამ პონომარიოვმა უცებ ფეხის თრევა დაიწყო, ალბათ, ვილაცეების ზეწოლით, თორემ 17 წლის ყმაწვილს თავისი საჭადრაკო პოლიტიკა ბოლომდე ვერ ექნება შემუშავებული. ესპანელები გაცოფდნენ და სულ „კარამბას" ძახილით აფრინეს მოსკოვს (სადაც იმ დროს ფიდე-ს ჩემპიონატის ფინალი იყო) ვრცელი წერილი, ადრესატ პონომარიოვს მაგრები უთხრეს და მისი იმიჯის მოსასპობად გულმოდგინე მუშაობას დაპირდნენ.

კონფლიქტის ესკალაცია ისევ ესპანურმა მხარემ ალკვეთა. ლინარესის მერი, ხუან ფერნანდესი რუსეთის მთავარ ქალაქში ჩაფრინდა, პონომარიოვიც დაბნეული თუ დარცხვენილი ჩანდა და მოკლედ, სტატუს-კვო აღდგა, კრამატორსკელმა ყმაწვილმა [illegible] დასტური განაცხადა.

განაცხადა და პირველივე ტურში განიმეორა ფიდე-ს ჩემპიონის ტიტული, როცა ივანჩუკს მოუგო. მათი მოსკოვური ფინალი გვახსოვს, როცა პონომარიოვმა ნერვებით აჯობა „ჭადრაკის გენიოსად" მონათლულ თანამემამულეს და ტიტული დაითრია. მერე ივანჩუკი კარგა ხანს თუმორის ნილაბში იბოლმებოდა და თავის წაგების მიზეზად ასახელებდა ყველაფერს, საჭადრაკოს გარდა. მაგრამ ფაქტები კვლავ საწინააღმდეგოს ლაღადებენ.

პონომარიოვი მეტს აპირებდა, რითაც ალბათ სიამეს მოჰგვრიდა ფიდე-ს, რომლის საჩემპიონო ტიტულსაც ჭადრაკის სამყაროს ნაწილი თუმორით უცქერს. მეორე ტურში პონომარიოვი კვლავ ცარიელი ნერვები იყო, მაგრამ „კაცობობა" ალამსიც არ ჩანდა თუნდაც 40 სვლაში პარტიის დამთავრების მოსურნე, მოთმინებით გააკეთა 76 გადაადგილება, ამათგან ბოლო 15 სავსებით მოგებულ პოზიციაში და ქულა მოითვალა. ეს გახლდათ ორში ერთი შედეგიანი პარტია, რომელიც 4 ტურის მანძილზე ლინარესში შედგა. 4 ტურის 12 ბრძოლიდან 10-ში ზავი გაფორმდა, მათ შორის კასპაროვ-ანანდის თამაშში, სადაც კასპაროვს ჰქონდა შანსები, მაგრამ რისკს მოერიდა და ახლა ცხრილში ყველგან ყაიმები უწერია.

ხოლო ცხრილი ლინარესის ტურნირისა საკმაოდ აბურდული გახლავთ და ბოლომდე ასე იქნება. ვის 3 პარტია აქვს ნათამაშები, ვის — 4. კენტობის ბრალია ყველაფერი.

**დავით გულუა**

**ვითარება 4 ტურის შემდეგ**

1-3. მაიკლ ადამსი (ინგლისი), ალექსეი შიროვი (ესპანეთი), ფრანსისკო ვალეხო (ესპანეთი) 2; 4-7. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), გარი კასპაროვი (რუსეთი), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი), ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 1,5

კანის სუპერტურნირი

# კარპოვმა, კარპოვი ვარო

**კანის** ტურნირი ლინარესს 2 კატეგორიით ჩამორჩება, მაგრამ ბოლო ცხრილი ნახეთ: ამდენ დიდ მოჭადრაკეს ერთად ძნელად თუ შეაგროვებ.

ლაჟვარდოვან ნაპირზე საჭადრაკო ბატალიები ერთობ მუხტიანად დაიწყო, პირველი ტურის 5-დან 3 პარტიაში მოგება-წაგება აღინიშნა, მერე კი ყაიმებმა 21-ე საუკუნის ტრადიციით იძალა და სტატისტიკა ლინარესისას ბევრით არ სჯობია, 5 ტურის 25 პარტიიდან 17 ყაიმით დასრულდა.

თავს არ ჰგავს პეტერ ლეკო, ვისაც ზავის მიჯნურად იცნობენ. უნგრელი მხოლოდ ორჯერ გასცილდა მშვიდობით მეტოქეებს, ორიც წააგო. უფრო უარესადაა ალექსანდრ მოროზევიჩის საქმე, რომლის სარეიტინგო პერსპექტივები ასეთი თამაშით ფრიად საეჭვოა, მაღალი კლასის დიდოსტატი 5-დან 4-ჯერ არ უნდა აგებდეს.

მშვიდი ჩანს ჟოელ ლოტიე თავის ყაიმთა მაქსიმუმით და ჯერჯერობით ბარაქალა ანატოლი ევგენიჩ კარპოვს, რომელიც ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე დასხმულ თავლაფს (პირველივე წრიდან რომ გავარდა) წარმატებით იშორებს. კარპოვი ერთპიროვნულ ლიდერადაც გაფორმდა, როცა მე-5 ტურის პარტია ლეკოს მოუგო. უნგრელი კარგა ხანს თეორიის კვალდაკვალ მიდიოდა, მერე წარმატებით გადაუხვია. მე-16 სვლაზე ლაზიერთა დალუპვის შემდეგ მისი შანსები ურიგო არ იყო, გამსვლელი პაიკი შექმნა და ...მისთვის უჩვევი სულსწრაფობით გააქანა პირველი ჰორიზონტალისკენ. კარპოვის თეთრმა ლლავებმა ცანცარა პაიკი ადვილად შეყლაპეს, ლესერტად მეორე დააყოლეს და 41-ე სვლის შემდეგ თეთრებმა ტექნიკურად მოსაგები პოზიცია მიიღეს. მცირე რევერანსების შემდეგ ლეკო 50-ე სვლაზე დანებდა.

**დავით გულუა**

**ვითარება 5 ტურის შემდეგ**

1. ანატოლი კარპოვი (რუსეთი) 3,5; 2-5. ევგენი ბარეევი (რუსეთი), ბორის გელფანდი (ისრაელი), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი), ლუსიენ ფრესინე (საფრანგეთი) 3; 6-7. ჟოელ ლოტიე (საფრანგეთი), ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) 2,5; 8-9. პეტერ ლეკო (უნგრეთი), იგორ ალექსანდერ ნატაფი (საფრანგეთი) 2; 10. ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) 0,5




ანატოლი კარპოვმა (მარცხნივ) პირველივე ტურიდან მძლავრად დაიწყო

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# პატრიოტული შეგნება დამთავრდა
## პროფესიონალები სამსახურში გავიდნენ



REUTERS ფოტოქრონიკა

ფილადელფიელმა კით პრაიმომ ჩაიმუხლა, მაგრამ ჩიკაგოელ ჟოსლენ ტიბოს მაინც გაუტანა

*სოლტ ლეიკ სიტიდან მიბრუნებული ოლიმპიელები უმალ ნჰლ-ის ჩემპიონატის მარათონში ჩაებნენ. თან უმეტესობამ ისე იასპარეზა, არც დაიტყო უაღრესად დაძაბული ტურნირის კვალი. განსაკუთრებით ოლიმპიადის ჩემპიონებმა და პრიზიორებმა გამოიჩინეს თავი.*

**26 თებერვალი**

**ატლანტა 2:1 ბუფალო 0:0 1:1 1:0**
**0:1 კონოლი (29), 1:1 კაბერლე (40), 2:1 კოვალჩუკი (57)**

მახპინძელთა ორივე გოლი ოლიმპიელების იყო. საუკეთესო კი ახვევ ოლიმპიელი, ატლანტას მეკარე მილან ჰნილიჩკა (33 მოგერიება) გახლდათ, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში თადარიგში იყო და, ცხადია, ძალები დაზოგა.

**კოლორადო 2:2 კალგარი 1:0 0:1 1:1 0:0**
**1:0 საკიკი (11), 1:1 ნიკოლი (35), 2:1 ვრბატა (44), 2:2 სავარი (57)**

ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ჯო საკიკის ჯაფა მეკარე პატრიკ რუამ წყალს გაატანა. სახელოვანი გოლკიპერი, რომელმაც ოლიმპიადაზე წასვლა არ მოისურვა, შეცდა, რასაც მარკ სავარის გოლი მოჰყვა.

**კოლუმბუსი 1:5 ლოს ანჯელესი 1:0 0:3 0:2**
**1:0 კრონი (16), 1:1 დემიტრა (25), 1:2 ჩარტრანდი (27), 1:3 დემიტრა (32), 1:4 პალფი (41), 1:5 ელისონი (47)**

ზიგმუნდ პალფიმ ოლიმპიადაზე გახურებაც ვერ მოასწრო, ადამ დეიმარმა კი მოსალოდნელზე ნაკლები გოლი გაიტანა, პოდა, თამაშსა და გოლებს მოწყურებულ წყვილს კოლუმბუსი ხელს როგორ შეუშლიდა, ორივემ სამ-სამი ქულა მიითვალა.

**მონრეალი 2:5 ოტავა 0:1 1:2 1:2**
**0:1 ნილი (8), 0:2 მაკიჩერნი (23), 0:3 ბონკი (26), 1:3 პეტროვი (34), 2:3 ზედნიკი (42), 2:4 ალფრედსონი (49), 2:5 არვედსონი (58)**

მონრეალის ერთადერთმა ოლიმპიელმა რიბარდ, რომლებმაც სლოვაკეთის გავარდნის გამო ვერც იასპარეზა, გაცილებით მრავალრიცხოვან ოტაველ სოლტლეიკსიტელებთან, ცხადია, ვერაფერი გააწყო.

**ნეშვილი 1:5 სან ხოსე 0:3 1:0 0:2**
**0:1 შტურმი (9), 0:2 სელიანე (10), 0:3 სელიანე (20), 1:3 ორზაგი (28), 1:4 სუტერი (29), 1:5 ორგანრისონი (59)**

აქაც მოგება მათ ხვდათ წილად, ვისაც მეტი ოლიმპიელი ჰყავდა. ყველაზე მეტად კი მასპინძლები უმეძლოდ დარჩენილმა ტეემუ სელიანემ (2!!) დააწიოკა.

**აილენდერსი 3:3 ბოსტონი 2:2 0:0 1:1 0:0**
**0:1 ბოიკი (3), 0:2 სამსონოვი (4), 1:2 პეკა (11), 2:2 ოკუანი (17), 2:3 მიური (46), 3:3 პეკა (60)**

კანადელმა მაიკ პეკამ ოლიმპიადელ ბოლო მატჩში, უმცირესობაში გაიტანა. ამჟამად უკვე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, აილენდერსის კაპიტანმა რიცხვმრავლობაში მყოფ სტუმრებს ძირითადი დროის დასრულებამდე ორი წამით (!) ადრე წაპგლიჯა ხელიდან მოგება.

**რეინჯერსი 3:4 ნიუ ჯერსი 1:2 2:0 0:2**
**0:1 გომესი (4), 0:2 ნიდერმაიერსი (5), 1:2 სტივენსონი (9), 2:2 ლინდროსი (26), 3:2 ფლერი (37), 3:3 პანდოლფო (47), 3:4 გომესი (51)**

ოლიმპიური ჩემპიონისა და ვიცე-ჩემპიონის პირველ მეკარეთა მოსალოდნელი დუელი არ შედგა. რეინჯერსელებმა მაიკ რიხტერი დაასვენეს, მასზე არანაკლებ ნაჯაფ მარტინ ბროდოს კი მისთვის მოულოდნელად მოუწია კარში ჩადგომამ, თუმც თავი არ შეურცხვენია. ამ მატჩში 12 ოლიმპიელი მონაწილეობდა, აქედან რვა — ფინალში.

**ფილადელფია 5:4 ჩიკაგო 1:1 4:1 0:2**
**0:1 ამონტე (7), 1:1 რეჩიკი (20), 2:1 პრიმო (21), 3:1 დესჟარდენი (23), 3:2 ნიულენდერი (35), 4:2 განიე (39), 5:2 ფედოტენკო (40), 5:3 დაზე (41), 5:4 არნასონი (54)**

**ფინიქსი 5:1 დალასი 2:0 2:1 1:0**
**1:0 ლენგკოუ (5), 2:0 ნაგი (13), 2:1 რუჩინსკი (24), 3:1 ლენგკოუ (37), 4:1 მარკოვი (39), 5:1 ნაზაროვი (50)**

ეს ერთადერთი თამაში გამოდგა, რომელშიც თავი არაოლიმპიელმა გამოიჩინა. თუმც მატჩში საუკეთესო დეიმონ ლენგკოუს (2 გოლი, 2 პასი) ღირსეული პარტნიორობა დანიელ მარკოვმა გაუწია, მოთამაშემ, რომელიც ოლიმპიადაზე მსაჯების ლანძღვით გამოირჩა.

**ტამპა 3:4 დეტროიტი 0:1 2:1 1:1 0:1**
**0:1 ფიოდოროვი (17), 1:1 პროსპალი (21), 2:1 ანდრეიჩუკი (34), 2:2 შენაპანი (37), 3:2 ოლვესტადი (50), 3:3 რობიტაილი (52), 3:4 შენაპანი (63)**

ბრენდან შენაპანს სოლტ ლეიკ სიტიში მიღებულმა ცერა თითის ტრავმამაც ვერ შეუშალა ხელი ორი გოლის გატანაში. ისე, ოლიმპიელებით, მათ შორის პრიზიორებით ყველაზე მდიდარმა ჩემპიონატის ლიდერმა ძლივს მოუგო ტამპას. თანაც „ელვებს“ ტურნირის საუკეთესო მეკარე ნიკოლაი ხაბიბულინი აკლდათ.

**ტორონტო 4:1 კაროლინა 1:0 1:1 2:0**
**1:0 კორსონი (8), 2:0 რაიხელი (30), 2:1 კაპანენი (36), 3:1 ჟილკი (47), 4:1 რობერტსი (60)**

ოლიმპიადის ტრიუმფატორთა, კანადელთა თავკაცმა პეტ ქუინმა გუშინაც გაიხარა — მისმა ტორონტომ დამაჯერებლად გაიმარჯვა, მაგრამ ეს ძვირად კი დაუჯდა. მესამე პერიოდში მეკარე კერტის ჯოზეფს კართან ჭიდილის დროს ხელის ძვალი გაუტყდა. კანადური კლუბის მთავარი ვარსკვლავი გუნდს მინიმუმ თვენახევრით გამოაკლდა.

**ვანკუვერი 4:4 სენტ ლუისი 1:2 1:1 2:1 0:0**
**1:0 ბერტუცი (5), 1:1 უეიტი (8), 1:2 ისტვუდი (15), 2:2 ლინდენი (25), 2:3 დრეიკი (39), 2:4 სტილმანი (45), 3:4 კუბელსი (55), 4:4 ბელმერი (59)**

**ვაშინგტონი 4:3 ფლორიდა 2:1 1:1 1:1**
**1:0 ოუთსი (3), 2:0 პეტინგერი (8), 2:1 პ. ბურე (19), 3:1 იაგრი (25), 3:2 პ. ბურე (27), 3:3 ოზოლინში (44), 4:3 კლი (50)**

სოლტ ლეიკ სიტიში არცთუ გამორჩეულმა პაველ ბურემ რიცხვმრავლობაშიც შეაგდო და უმცირესობაშიც, მაგრამ ფლორიდა მარცხს ვერ გადაარჩინა.

**სამველ ლარიბიანი**



# ეროუსი

დაარსდა 1977 წელს
ფორმულა 1-შია 1978 წლიდან
კონსტრუქტორი: ტომ უოკინშოუ
ტექნიკური დირექტორი: მაიკ კაფლანი
ბოლიდი: „ეროუს A23“
(სიგრძე 4,5მ; სიგანე 1,4მ; სიმაღლე 1,0მ)
ძრავა: „კოსუორტ CR-3“
საბურავები: „ბრიჯსტოუნი“
371 რბოლა; 1 პოული; 165 ქულა
კონსტრუქტორთა თასზე საუკეთესო ადგილი — IV (1988)
2001 წელს გუნდმა დაიკავა X ადგილი (1 ქულა)
მთავარი სპონსორები: ორენჯი, ეურო ბეტი, რედ ბული, ლოსტ ბოიზი, ჩზიატექი, ბრიჯსტოუნი, დელი, მორგან გრენფელი, პოლ კოსტელო, ჩილო.



**ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი**
**გერმანია**
დაიბადა 1967 წლის 18 მაისს მიონხენგლადბახში. ცხოვრობს მონტე კარლოში
სიმაღლე 170 სმ, წონა 66 კგ
ცოლშვილიანი
დებიუტი ფორმულა 1-ში: ბრაზილიის დიდი პრიზი (1994)
პირველი გამარჯვება: სან მარინოს დიდი პრიზი (1997)
129 რბოლა; 3 მოგება; 2 პოული; 6 უსწრაფესი წრე; 159 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი — მეორე ადგილი (1997)
2001 წელს დაიკავა XIII ადგილი (6 ქულა)
ასპარეზობდა „ზაუბერში“ (1994-96), „უილიამსში“ (1997-98), „ჯორდანში“ (1999-2001), „პროსტში“ (2001).
2002 წლიდან „ეროუსშია“



**ენრიკე ბერნოლდი**
**ბრაზილია**
დაიბადა 1978 წლის 19 ოქტომბერს კურიტიბაში
სიმაღლე 178 სმ, წონა 68 კგ
უცოლო
დებიუტი ფორმულა 1-ში: ავსტრალიის დიდი პრიზი (2001)
17 რბოლა, 0 ქულა
„ეროუსშია“ 2001 წლიდან

ARROWS
COSWORTH




ახალი „ეროუსი“ და გერმანულ-ბრაზილიური ეკიპაჟი მელბურნის ავტოდრომზე

# რაღა ეროუსი, რაღა ავტობუსი: მთავარია, მივიდეს

FORMULA 1

**„ეროუსი“** და „მინარდი“ შარშანდელი ჩემპიონატისა და საერთოდაც ფორმულა 1-ის ყველაზე მაჩანჩალა გუნდები არიან. სამეფო რბოლებში ასპარეზობის მრავალწლიანი გამოცდილების მიუხედავად, არც ერთს ჯერ თითო დიდი პრიზიც კი ვერ მოუგია და ერთთავად ქარავანის ბოლოში მიჩაქჩაქებენ.

დღეს წარმოგიდგენთ „ეროუსს“, მრავალდარგოვანი ბრიტანელი საქმოსნის ტომ უოკინშოუს საჯინიბოს. „ნარინჯისფერებმა“ ახალი, A23 ბოლიდის პრეზენტაცია შარშანდელივით მელბურნში მოაწყვეს, სადაც კვირას 53-ე საფორმულო სეზონი დაიწყება. გუნდის ხელმძღვანელობა ხამოძავლო შანსებზე ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა, მანქანა წინამორბედს სჯობს და ვეცდებით, წლეულს უკეთესად გამოვიდეთ, ანუ რაც შეიძლება მეტ რბოლაში მივიდეთ ფინიშამდეო.

ექვსი წელია, რაც უოკინშოუ „ეროუსის“ საჭესთან დგას. მისი წინამძღოლობით ავსტრალიური ეტაპი საიუბილეო, მე-100 იქნება გუნდისთვის. სულ კი, 24 ჩემპიონატში ურბოლია 32 პილოტს, მათ შორის ისეთ სახელიანებს, როგორებიც იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონები დეიმონ ჰილი და ალან ჯოუნსი, აგრეთვე იოხენ მასი, ჟილ ვილნევი, რიკარდო პატრეზე, მიქელე ალბორეტო, გერჰარდ ბერგერი, მაგრამ ჯაგლაგი მანქანით ვის რა უნდა ეხეირა.

წლეულს სამძღოლო შემადგენლობა სანახევროდ გადახალისდა: შარშანდელმა ახალბედა ენრიკე ბერნოლდიმ ნულოვანი, უქულო შედეგის მიუხედავად, ადგილი შეინარჩუნა, ხოლო გუნდის პირველი ნომერი, თითქმის ას რბოლაში ნაცადი იოს ფერსტაპენი შეფმა სამსახურიდან დაითხოვა. ჰოლანდიელი თითქოს მყარად იდგა ადგილზე, რადგან „ეროუსთან“ 2002 წლის ბოლომდე ჰქონდა კონტრაქტი, მაგრამ უოკინშოუმ მას ვეტერანი ვიცე-ჩემპიონი ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი არჩია. „პროსტის“ გაკოტრების შემდეგ უმუშევარ გერმანელსაც ბევრი არ უყოყმანია და უკვე ორ კვირაზე მეტია, ახალი ბოლიდის მოთვინიერებითაა დაკავებული.

ფრენცენი: „მოუთმენლად ველი ახალ გუნდში პირველ სტარტს. იმ სერიოზული სამუშაო ვითარების ნახვის მერე, რაც აქ დამხვდა, ოპტიმისტურად განვეწყვე. ჩვენი ძალის გამოსაჩენად მელბურნი პირველი შანსი კი იქნება, მაგრამ კარგა ხანს უმთავრესი მხოლოდ ბოლომდე, ფინიშამდე გაძლება იქნება. სადღეისოდ ორი პრობლემა გვაწუხებს: ბოლიდის უკანა ფრთა, რომელმაც თებერვლის ტესტებზე ორჯერ გვიმტყუნა და ასევე ნაკლებად საიმედო სიჩქარეთა კოლოფი. იმედი მაქვს, ხარვეზები მალე გამოსწორდება და იქნებ, რამდენიმე ქულის მოპოვებაც მოვახერხო“.

ისე, მუდმივი აუტსაიდერისგან სხვა რას უნდა ველოდეთ: წლეულს „ეროუსის“ უპირველესი ამოცანა თურმე რბოლებიდან რაც შეიძლება გვიან გამოვარდნა ყოფილა.

**გია ახალაძე**

ევროპის ერთა თასი. მესამე ტური.

## საქართველო — რუსეთი

თბილისი. 3 მარტი. «ეროვნული». 15 საათი

# საქართველოს გაუმარ-ჯოს! სიძე-პატარძალს გაუმარ-ჯოს!



*ლისაბონში პორტუგალიელებთან ბრძოლაგადატანილ ბორჯღალოსნებს 3 მარტს გაცილებით ძნელი და საპასუხისმგებლო თამაში ელით. თბილისში, ეროვნულზე, დიდი რჯენაა: საქართველო – რუსეთი.*

*ამ მეტად მნიშვნელოვანი და პრინციპული მატჩისთვის მოსამზადებლად ბორჯღალოსნები გუშინ შეიკრიბნენ და წვრთნის საგანგებო რეჟიმზე გადავიდნენ.*





გია ლაბაძემ პატარძალი ქორწილში დატოვა, ბორჯღალოსან მაყრიონთან ერთად ვარკეთილის სტადიონს მიაშურა და კლოდ სორელის დავალებები ბეჯითად შეასრულა

**საქართველოს** ნაკრების მთავარი მწვრთნელი კლოდ სორელი სარუსეთოდ პორტუგალიელების მძლეველ შემადგენლობას მოამზადებს, ოღონდ ერთი ცვლილებით: საქართველოს ნაკრების და „ოშის" მორკინალი მამუკა მაგრაქველიძე საფრანგეთის ჩემპიონატში დაშავდა და მის მაგივრობას გასწევს „კრეზოს" მეორეხაზელი სერგო გუჯარაიძე, რომელიც პირველად მოხვდა 22-კაციან სიაში.

გუშინ ბორჯღალოსანთა ერთ ჩვეულებრივ დღეს არაჩვეულებრივი ამბავი მოხდა. ჩვეულებრივი ამბავი ისაა, რომ რუსეთთან ჯახი კარსაა მომდგარი და ჩვენი მორაგბეებიც გამალებით ემზადებიან „დათვების" დასახვედრად. ჰოდა, სორელის სამწყსომ გუშინ დილით პირველად ივარჯიშა ვარკეთილის მეურნეობის მოედანზე. ცხადია, მათ შორის იყო ბორჯღალოსანთა ჩაუქი ფლორვარდი გია ლაბაძე, რომელსაც თავი არ დაუზოგავს და ოფლიც გვარიანად ღვარა. დასრულდა დილის ვარჯიში და სწორედ აქედან იწყება არაჩვეულებრივი ამბავი.

ბორჯღალოსნებმა საშეკრებო ადგილს, სასტუმრო „ხეთს" მიაშურეს. გია ლაბაძემ სამ ტულონელ თანაგუნდელთან ბესიკ ხამაშურიძესთან, ილია ზედგინიძესთან და აქსენტი გიორგაძესთან ერთად გეზი „კონკისკენ" აიღო, სადაც თავის გულისსწორთან, ნინო წიწკალაძესთან თანაცხოვრებას აკანონებდა. რაღა ბევრი გავაგრძელო და, გია ლაბაძე დაქორწინდა! ოფიციალურმა ნაწილმა დიდხანს არ გასტანა. მერე იყო მილოცვები და ლხინი პრესტიჟულ „შხიან ღამეში". მავანი გაიკვირვებს, კი მაგრამ, რა არის ამაში უცნაური და არაჩვეულებრივიო. ლოგიკური კითხვაა და პასუხსაც ახლავე მიიღებთ.

მიუსხდნენ მეჯვარეები მეფურ სუფრას, ჩვენებურ-გვარიანად მოილხინეს ევრო-ქართული პურმარილით, სადღეგრძელოებიც ხომ, თავად მოგეხსენებათ. და თქვენ გგონიათ, ბორჯღალოსნებმა ჭიქა ღვინო მაინც დალიეს? ა-ჰა-ჰა-ჰა! მაგას მერეც მოვასწრებთ, რუსებს რომ მოვუგებთო, თქვეს და მხოლოდ „ბორჯომს" მიეძალნენ. არც პატარძალს დასცალდა ნეფესთან ერთად სუფრასთან დიდხანს ჯდომა. ლხინის დაწყებიდან საათი გავიდა, სიძე ბორჯღალოსანი მაყრიონი წამოშალა და მათთან ერთად ვარკეთილის მეურნეობის სტადიონს მიაშურა — კლოდ სორელს საღამოს ვარჯიში დაენიშნა. პატარძალმა და მეჯვარეებმა ლხინი გააგრძელეს.

ტულონური ოთხეული თანაგუნდელებზე ადრე მივიდა სტადიონზე და... ერთ ქართულ ფილმში ასეთი სცენაა: ქისტებს შეფარებული, შინაგანური თემიდან მოკვეთილი მოხევე ფილმის ბოლოს ქისტურ ჩოხას შემოიძარცვავს, რომლის შიგნით ხევსურული ჯვარი აქვს. არა, ვარკეთილში არც ქისტი გამოჩენილა და არც ჩოხით ამოსულა ვინმე, მაგრამ ამ ჩვენმა გამოწკეპილმა ჯეელებმა ძვირფასი ქსოვილისგან შეკერილი მოდური სმოკინგები რომ გაიხადეს, დაკუნთულ ტანს სავარჯიშო ტრუსი, გეტრები და მაისურა უფარავდათ. ერთი სიტყვით, სიძე და მისი ამქარი სავარჯიშოდ ხელმოწერამდე გამოწყობილიყო. ამასობაში ვარკეთილის მეურნეობის მოედანს დანარჩენი ბორჯღალოსნებიც მოადგნენ და უკვე მოვარჯიშე ოთხეულს შეუერთდნენ. მხიარულ ხასიათზე იყვნენ ჩვენი მორაგბეები, [illegible] ერთი-ორი წაიოხუნჯეს, მერე იქ მყოფ საბავშვო კლუბ „ხულიგანს" მორაგბეებთან სამახსოვრო ფოტოებიც გადაიღეს. ერთ რამეს ღირდა იმ ნორჩების გაბრწყინებული თვალების ხილვა. მე ცაბაძის გვერდით ვდგევარ, მე მთიულიშვილის, მე ზედგინიძის, ნიშნს უგებდნენ ერთმანეთს ბავშვები. კლოდ სორელმა კარგა ხანს აცალა ბალღობას კერპებთან ანცობა, მერე კი ყველას თავისთან უხმო და ფიზმომზადების მწვრთნელ ტიერი რუდილის გადაულოცა. რუდილიმ ჯერ ორიოდ წრე თუნთულით არბენინა შეგირდები, მერე კომპლექსური ვარჯიშები შეასრულებინა, რასაც გაწელვა მოჰყვა. თავის საქმეს რომ მორჩა, იქვე განმარტოვდა და წიგნის კითხვით შეიქცია თავი. ბორჯღალოსნებს სორელმა მოედნის ცენტრში რჩევა-დარიგებები მისცა, მერე გუნდი ორად გაყო და საწვრთნელი მატჩი გაჩაღა. დაახლოებით საათი არბენინა ფრანგმა ქართველები. ამ ხნის მანძილზე ხმამაღლა არაფერი უთქვამს ბორჯღალოსანთა თავკაცს. იდგა ჩაფიქრებული და გულმოდგინედ აკვირდებოდა შეგირდთა ვარჯიშს. მორაგბეებმა ოფლი რომ გვარიანად მოიდინეს, სორელმა ვარჯიში დაასრულა, რაკი ქარში ქცემვერდობის გაცივების შეეშინდა. ბორჯღალოსნებმა მიკროავტობუსები შეავსეს და სატრენაჟორო დარბაზისკენ გაეშურნენ. მათთან ერთად იყო გია ლაბაძეც, რომელიც კუნთების გავარჯიშების შემდეგ ყველა თანაგუნდელთან ერთად სასტუმროში მიდიოდა ღამის გასათევად. სანამ ნაკრების წევრები ვარკეთილის მეურნეობას გაეცლებოდნენ, რამდენიმე მათგანს მატჩისწინა კომენტარი ვთხოვეთ.

**გია ლაბაძე:**

— გადავწყვიტე, დავქორწინებულიყავი, ვინაიდან თბილისში აწი კარგა ხანს ვერ ჩამოვალ. ჯვარს, ალბათ, ზაფხულში დავიწერთ, რა ვქნა, როგორც საქმე მოითხოვს, ისე უნდა მოიქცე. ქეიფს მერეც მოვასწრებ. რაც შეეხება მატჩს, ძალიან ძნელი იქნება. რუსები მაგრად ემზადებიან, გარდა ამისა, ბლომად ფული ჩადეს რაგბიში და შედეგსაც ითხოვენ. ამიტომ გაორმაგებული ენით მოგვეძალებიან, ჩვენც ღირსეულად დავხვდებით.

**ილია ზედგინიძე:**

— ახლა მოსამზადებლად გაცილებით მეტი დრო და პირობები გვაქვს, ვიდრე პორტუგალიასთან. ეს სასიკეთოდ იმოქმედებს ჩვენს მზადყოფნაზე. პროგნოზებისგან თავს შევიკავებ, ისე კი, დიდი ბრძოლა იქნება.

**ლევან ცაბაძე:**

— ხალხს ვთხოვ, სტადიონზე მოვიდეს. ახლა ყველაზე მეტად ვჭირდება მათი მხარდაჭერა. დიდი ჯახი იქნება, ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ.

**კახა ალანია:**

— ნამდვილი ომი იქნება, რომელშიც უეჭველად გავიმარჯვებთ. პორტუგალიის შემდეგ გვარიანად გამოვცოცხლდით, ასე რომ, ახლა სულ სხვა გუნდი ითამაშებს.

**ზურაბ მჭედლიშვილი:**

— რუსები გამალებით ემზადებიან, ჩვენც არ ვუდებთ ტოლს, რა თქმა უნდა, მცირედი უპირატესობა ჩვენს მხარესაა. თავს არ დავზოგავთ, დანარჩენი კვირას გამოჩნდება.

**ბაჩო სვანიძე**

**ზურაბ დოლიძეჯაყელის ფოტოები**

| საქართველოს ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა | |
|---|---|
| **ძირითადი** | |
| 15. | ბესიკ ხამაშურიძე |
| 14. | მალხაზ ურჯუკაშვილი |
| 13. | თედო ზიბზიბაძე |
| 12. | ვასილ კაცაძე |
| 11. | ბადრი ხეხელაშვილი |
| 10. | პალიკო ჯიმშელაძე |
| 9. | ირაკლი აბუსერიძე |
| 8. | ილია ზედგინიძე |
| 7. | გია ლაბაძე |
| 6. | დავით ბოლღაშვილი |
| 5. | ვანო ნადირაძე |
| 4. | ვიქტორ დიდებულიძე |
| 3. | ლევან ცაბაძე (კაპ) |
| 2. | აქვსენტი გიორგაძე |
| 1. | მევლუდ მთიულიშვილი |
| **სათადარიგო** | |
| 16. | გოდერძი შველიძე |
| 17. | ტარიელ რატიანიძე |
| 18. | ზურაბ მჭედლიშვილი |
| 19. | სერგო გუჯარაიძე |
| 20. | შოთა მოდებაძე |
| 21. | კახა ალანია |
| 22. | გუჯა იოვაძე |



შოთა მოდებაძე (მარცხნივ) და ლისაბონური მატჩის გმირი აქსენტი გიორგაძე

# არ დაიწვა, ბიჭო




REUTERS

ამ კვირას მელბურნში საფორმულო სეზონი იხსნება, ცხადია, ავსტრალიის დიდი პრიზი გათამაშდება და გუნდებსაც უკვე მოუყრიათ თავი. მენლი ბიჩზე „იაგუარის“ პილოტი ედი ირვინი გასულა და ქვიშის ფრენბურთის ვარსკვლავებს, ოლიმპიურ ჩემპიონებს, კეტი პოტჰერსტს (მარცხნივ) და ნატალი კუკს სთხოვს, სახეზე კრემი წაუსვით, მზე არ დამწვასო.

# ეს ამდენი ბანკეტი



REUTERS




კანადის პრემიერ-მინისტრის, ჟან კრეტიენს სიამოვნებით მიულია თავისი ქვეყნის ოლიმპიური გუნდის სვიტერი თავისივე მინისტრ შეილა კოპსის ხელიდან. ეს პირველადაა, რომ კანადის ზამთრის გუნდმა ჩვიდმეტი სხვადასხვა ხარისხის მედალი მოიპოვა ოლიმპიადაზე, რაც ამ ქვეყნისთვის სარეკორდო რამაა. ექვსი ოქროს მედლიდან ორი ჰოკეისტმა ქალებმა და კაცებმა მოიგეს. გახარებული პრემიერი საგანგებო მიღებას გაუმართავს ოლიმპიურ გუნდს.

თოვლიანი სოლტ ლეიკ სიტიდან მზიან კალიფორნიაში, მშობლიურ სან ბერნარდინოში დაბრუნებულა ციგურაობის ჩემპიონი დერეკ პარა, რომელიც მეუღლე ტიფანისთან ერთად გადახდილი მანქანით დასრიალებს ქალაქის ქუჩებში და გულშემატკივრებს ესალმება.

ჩემპიონებს ყველგან პატივით ხვდებიან. გერმანიის ობერჰოფში ასეულობით ადამიანი შეგებებია ბიატლონის 7,5-კილომეტრიანი სპრინტის მოგებ კატი ვილჰელმს, რომელიც მისივე სახელობის ფანკლუბის ნევრ ჯეელებს აუყვანიათ ხელში.

ამერიკელები კი მაინც სხვა გაქანების ხალხია: საკვების კომპანია „ვითიზს“ უკვე გამოუშვია „ჩემპიონთა საუზმის“ მორიგი სერია. ბურბუშელის ყუთს თინეიჯერი ციგურაობის ჩემპიონი სარა ჰიუზი თავადვე წარადგენს.




REUTERS




REUTERS

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: ლევან თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჩიანია
გია ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ლევან გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კოილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი:
ხელმძღვანელი მამუკა გუბელაძე
ლია ბეხელაია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, ხვიჩა დევაძე, მაგდა ლოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge